გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
**სამშაბათი, 26 ივლისი, 2005 წელი.**
№175 (5208)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცდუნებით და ჭორებით ბრძოლა ყოვლად შეუფერებელია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## გორის ტერაქტი გაიხსნა



**შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, გორში მომხდარი ტერაქტი რუსეთის პოლკოვნიკის ანატოლი სისოევის მიერ მომზადებულმა დივერსიულმა ჯგუფმა განახორციელა.**

პოლიციამ გორში 1 თებერვალს მომხდარი ტერაქტი გახსნა და სამი ეჭვმიტანილი დააკავა.

ამის შესახებ გუშინ შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, დაკავებულები არიან ტერაქტის უშუალო შემსრულებლები გია ვალიევი და გია ზასიევი. ისინი 17 ივლისს სპეცოპერაციის შედეგად, ცხინვალის რეგიონში აიყვანეს. გარდა ამისა, დაკავებულია იმ ავტომობილის შემძენი იოსებ კოჩიევი, რომელიც სამხარეო პოლიციის შენობის წინ აფეთქდა.

იხ. მე-2 გვ.

## აფხაზეთში რუსული ბანკების შემოსავლების „გათეთრება“ ხდება

იხ. მე-2-5 გვ.

## რატომაც არა?

**ჩვენი ოპოზიციისთვის უფრო იოლია გაერთიანდეს ვიღაცის წინააღმდეგ, ვიდრე დაირაზმოს გარკვეული პოზიტიური იდეების ირგვლივ. არამდგრადი „პოლიტიკური რეჟიმის ნავის“ რყევა ყოველთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახალი სახელმწიფოებრიობის შენობის აგება.**



იხ. მე-2 გვ.

## ◎ ინფორმაცია

### სომხეთის პრემიერ-მინისტრის მიღება

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი მიიღო. დახურულ კარს მიღმა შეხვედრა დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეხვედრის შემდეგ მხარეებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ანდრანიკ მარგარიანი საქართველოში გუშინწინ ჩამოვიდა. იგი სამცხე-ჯავახეთის რეგიონს სტუმრობდა, სადაც სომეხი ეროვნების მოსახლეობას შეხვდა და ცნობილი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრო.

ანდრანიკ მარგარიანმა საქართველო გუშინ საღამოს დატოვა.

### საელჩოებს მიწის ნაკვეთები სჭირდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე თბილისში მყოფ სომხეთის პრემიერ-მინისტრს სომხეთში საქართველოს საელჩოსთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას სთხოვს. ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ სომხეთის პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანთან შეხვედრისას გააკეთა.

პარლამენტის თავმჯდომარის ამ განცხადებაზე სომხეთის ელჩმა საქართველოში, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, თავის მხრივ, სომხეთის საელჩოსთვის თბილისში მიწის ნაკვეთის გამოყოფა მოითხოვა.

როგორც სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარგარიანმა შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლები ამ საკითხზე შეთანხმდებიან.

ინტერპრესნიუსი

### პრეზიდენტმა კინემატოგრაფისტთა თხოვნა დააკმაყოფილა

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ, კინემატოგრაფისტთა კავშირმა და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ქართული კინოს დღის დაარსების წინადადებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მიმართეს.

„შვიდი წელია ქართული ფილმის დღის დაარსებისთვის ვიბრძვით. როგორც იქნა პრეზიდენტის 12 ივლისის ბრძანებულებით, ქართული კინოს დღედ 15 მაისი გამოცხადდა“, – განუცხადა „მედიანიუსს“ შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ.

მისი განმარტებით, 15 მაისი შემთხვევითი თარიღი არ არის. პირველი დოკუმენტი, რომელშიც ქართული ფილმია მოხსენიებული, 1908 წლის 15 მაისით თარიღდება.

გოგი დოლიძის განცხადებით, 2008 წლის 15 მაისს ქართული ფილმის 100 წლისთავი აღინიშნება, ხოლო მანამდე ქართული კინოს ხელშეწყობისთვის ფესტივალი და კონკურსი ჩატარდება.

მედიანიუსი

### ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში მოგვიანებით ჩამოვა

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში დასასვენებლად უახლოეს დღეებში ჩამოვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი არველაძის განცხადებით, ხვალისთვის საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი, უკრაინული მხარის თხოვნით რამდენიმე დღით გადაიდო.

მისივე თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის პრეზიდენტი საქართველოში კერძო ვიზიტით ჩამოვა და იგი თავისი ვიზიტის ფარგლებში საქართველოში დასვენებას ვარაუდობს, იგი თბილისს უახლოეს დღეებში ესტუმრება.

არველაძის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში უკრაინის პრეზიდენტს მისივე სურვილით მაქსიმალურად ექნება საშუალება გაეცნოს საქართველოში არსებულ ვითარებასა და საქართველოს კულტურას.

ინტერპრესნიუსი

## ◎ პანორამა

**ეგვიპტეში**, სინაის ტურისტულ ზონაში ორმხრივი სროლა მოხდა პოლიციასა და შაბათს შარმ-ელ-შეიხში განხორციელებული ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორებს შორის. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილ პაკისტანელთა ჯგუფის დაკავების სპეცოპერაცია ჩაატარეს.

* * *

**ისრაელის** არმია გამიჯვნის მოწინააღმდეგეებს აქამანდებს. საამისოდ ყალიბდება ახალი ქვედანაყოფი. იგი შეაგროვებს ოპერატიულ ინფორმაციას ებრაულ ნაციონალურ-რელიგიურ ბანაკში არსებულ განწყობაზე. ამ ბანაკში ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილონი არიან თავშეყრილი.



## რა საერთოა ახალგაზრდა კოსმონავტსა და ახალგაზრდა ხელისუფლებას შორის?

ალბათ გამოუცდელობის შედეგად, ჩვენი შიდა სტრატეგია მთლიანად წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, ევროატლანტიკურ სტრატეგიაში ჯდებოდე, გინდოდეს, რომ მისი კომპონენტი იყო და, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით – ცხინვალსა და სოხუმს აღიზიანებდე, საქართველოს გამთლიანებას იარაღით ემუქრებოდე, ეს ორი სტრატეგია ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული. ნებისმიერი ომახიანი ყიჟინა საქართველოს მხრიდან, რეალურად, რუსეთისკენ უბიძგებს ცხინვალსაც და სოხუმსაც. ასეთი დაშინება შედეგს არ მოგვიტანს.

იხ. მე-3 გვ.

## ◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი რუსეთს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს

**საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობას გორში მომხდარი ტერაქტის გახსნას ულოცავს. რუსეთის სპეცსამსახურებს ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობისკენ, ხოლო ცხინვალის ხელისუფლებას „პროვოკაციებისგან თავის შეკავებისკენ“ მოუწოდებს.**



ამის შესახებ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა გორის ტერაქტის გახსნასთან დაკავშირებით სახელმწიფო კანცელარიაში შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, მის მოადგილესთან ამირან მესხელთან, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსთან შალვა ქღენტთან და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს უფროსთან ვახტანგ ზულბაიასთან შეხვედრაზე განაცხადა.

პრეზიდენტის განცხადებით, დღეს საქართველო ფეხზე დგება. ქვეყანაში შეიქმნა ნამდვილი სპეცსამსახური, რომლის მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა 1 თებერვალს, გორში განხორციელებული „კლასიკური ტერაქტის“ საქმის გახსნა.

მისივე თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება რამდენიმე თვე მიმდინარეობდა და იგი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი საქმის კურსში იყო. მას ახარებს ის ფაქტი, რომ საქართველოში, დსთ-ს სივრცეში პირველად გაუქმდა უშიშროების სამინისტრო და დემოკრატიული სპეცსამსახურები ჩამოყალიბდა, რომლის გამართულმა მუშაობამ უზრუნველყო კლასიკური ტერაქტის განმხორციელებელთა საქმის გახსნა.

„აშკარად იკვეთება ტერაქტში სხვა ქვეყნის მონაწილეობა. ჩვენ ყველანაირ ინფორმაციას ვფლობთ იმათზე, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ ტერაქტში, მაგრამ ქართულ მხარეს არსებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება იმის გამო არ სურს, რომ არ უნდა რუსეთთან კონფრონტაციული ურთიერთობა,“ – აღნიშნა სააკაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება მომავალში ქართველ სამართალდამცველებთან აქტიურად ითანამშრომლებს.

პრეზიდენტმა ცხინვალის ხელისუფლების მისამართითაც რამდენიმე განცხადება გააკეთა. „ჩვენ არ გვინდა ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია. მაგრამ ცხინვალის ხელისუფლებას მოვუწოდებ თავი შეიკავოს პროვოკაციული მოქმედებებისგან. ნურავის ნუ ექნება ილუზია, რომ საქართველოს ხელისუფლება და მისი სამართალდამცველი ორგანოები უყურადღებოდ დატოვებენ ტერორისტულ მოქმედებებს,“ – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მან ზოგიერთი ტელეკომპანიის მისამართით გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ ისინი დაკავებული არუთინიანის ოჯახს საზოგადოებას აცოდებენ და არაფერს ამბობენ დაღუპულ ზურაბ ქვლივიძის ოჯახზე, რომელმაც სიმამაცე გამოამჟღავნა და სწორედ მისი მოქმედებით შესაძლებელი გახდა 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორის დაკავება.

საქართველოს პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის სამართალდამცველები და სპეცსამსახურები „ზედმეტი ისტერიის გარეშე“ შეძლებენ საქართველოს სპეცსამსახურებთან და სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობას.

ინტერპრესნიუსი

## თუ სისულელეა, რაღას ვიხილავთ?

**„ძლიერი თვითმმართველობა – ძლიერი საქართველო“, – ამ დევიზით „საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირმა“ „შერატონ მეტეხი პალასში“ თვითმმართველობის რეფორმის მხარდამჭერი კამპანიის გახსნის ცერემონიას უმასპინძლა.**




იხ. მე-2 გვ.

## ქონებას ანიავებენ, თანხებს კი ითვისებენ

იხ. მე-3 გვ.



SIC!

# გორის ტერაქტი გაიხსნა

(პირველი გვერდიდან)

როგორც მინისტრმა განმარტა, საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, წელიწადნახევრის წინათ რუსმა პოლკოვნიკმა ანატოლი ივანეს ძე სისოევმა დივერსიული ჯგუფი ჩამოაყალიბა, რომელიც მომზადებას რუსეთის ტერიტორიაზე გადიოდა. „ამ ჯგუფს შიდა ქართლის ტერიტორიაზე რამდენიმე ტერაქტი აქვს განხორციელებული, მათ შორის 1 თებერვალს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ მომხდარი ტერაქტიც“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

შს სამინისტრომ ამავე დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი დაადგინა და მათზე ძებნა გამოაცხადა. დღეიდან ძებნაში იმყოფებიან: ანდრეი ზასიევი, ვალერი კოზაევი, არტურ კოზაევი, ალექსანდრე ცხოვრებოვი, ალექსანდრე ბეჟანოვი, ვლადიმერ ფუხაევი. გუშინვე შს სამინისტრომ გაავრცელა მასალა, რომელიც ამ და სხვა პირების მიერ განხორციელებულ დივერსიულ აქტებს შეეხება.

მერაბიშვილის განცხადებით, ეს და სხვა ადამიანები 2004 წლის 9 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ შავშვებთან 500-კილოვატიანი „ქართლი-2“-ისა და „ლიახვის“ ანძების აფეთქებაში მონაწილეობისთვის, 2004 წლის 9 ოქტომბერს კასპის რაიონის რკინიგზის გრაკალი-მეტეხის გადასარბენზე დივერსიული აქტის მოწყობისთვის და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის რაიონის ერთ-ერთ სოფელთან, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან რადიოსადგურის აფეთქებისთვის იძებნებიან.

ეს ინფორმაციები საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საქართველოში რუსეთის ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს და რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს გადასცა. მინისტრი იმედოვნებს, რომ რუსული მხარე საქართველოს ყველა იმ ეჭვმიტანილს გადმოსცემს, რომელმაც დაგეგმა და მონაწილეობა მიიღო ამ და სხვა ტერორისტულ აქტებში.

მინისტრის თქმით, შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ექვსი თვის განმავლობაში პროფესიული შრომის შედეგად გორის ტერაქტი გახსნეს და მასში ეჭვმიტანილებიც გამოავლინეს. დანაშაულში ეჭვმიტანილები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აგებენ პასუხს. დაკავებულები ამ დროისთვის თბილისში წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადმოყვანილები.

ინტერპრესნიუსი.



დღის თემა

# „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა...“

**ერთი პოლიტიკური კარიკატურა მახსოვს ძველი „პრავდიდან“: ძია სემი, ვის სიძულვილსაც ასეთი მონდომებით გვინერგავდნენ როგორც კი წერაკითხვას შევისწავლიდით, ტრიბუნაზე დგას, მარჯვენა ხელში ზეთის, ხილის რტო უჭირავს და მსოფლიოს სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცება. მეორე ხელით კი ატომური ბომბი ჩაუბღუჯავს და ზურგს უკან მალავს.**

პრავდელების სინდისზე იყოს ამ კარიკატურაში აღბეჭდილი სიმართლე, მაგრამ დღეს ძია ვანია სწორედ მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩნდა, მთელი ინტრიგაც ამაშია.

ყველა ფორუმზე და საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთი მსოფლიოს ეფიცება: ჩვენ გვიყვარს ქართველი ხალხი, პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საამისოდ ყველაფერსაც ვაკეთებთ. ჩვენი სურვილია, საქართველოს სახით რუსეთს ერთიანი, ძლიერი და მშვიდობისმოყვარე მეზობელი ჰყავდესო და ა. შ.

კი, ბატონო, ფიცი გვწამს, მაგრამ ამდენი მტრობა და ღვარძლი იმავე საქართველოს მიმართ, ცინიზმი და იმპერიული ჭირვეულობა, რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთაც კი ჟამიდან ჟამზე რომ დასცდებათ ხოლმე, ახლა კიდევ ტერაქტი, რომელიც თურმე ძმურ რუსეთში იგეგმება და საქართველოში კვლავ რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ხორციელდება. განა ყველაფერმა ამან არ უნდა გამოაფხიზლოს საერთაშორისო თანამეგობრობა, ვის თვალშიც რუსეთი დღემდე, მართალია, საეჭვო, მაგრამ მაინც დემოკრატიულ ქვეყნად რჩება?!

გორში წლეულს, 1 თებერვალს განხორციელებული საშინელი ტერაქტი, ადამიანების მსხვერპლი რომ მოჰყვა **– გახსნილია!**

ამის შესახებ განაცხადა აქ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. ვინ არიან ტერაქტის შემსრულებლები? გია ვალიევი, გია ზასიევი, იოსებ კოჩიევი და სხვები. ტერაქტის ავტორები და იდეური უზრუნველმყოფნი მოსკოვისა და ცხინვალის მყუდრო კაბინეტებში სხედან.

ტერაქტში ეჭვმიტანილნი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მუშაკებმა ამ რამდენიმე დღის წინათ ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად აიყვანეს. იძებნებიან მათი თანამზრახველები.



უბრალოდ, უხერხულია, აქ არ მოვიხსენიოთ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს პოლკოვნიკი ანატოლი სისოევი, რომელმაც ამ არაკაცებისგან შექმნა დივერსიული ჯგუფი, ასწავლა, ფეხზე დააყენა, აღჭურვა საჭირო დოკუმენტებითა და იარაღით და გზა მშვიდობისა უსურვა. ამათაც არ გააწბილეს შეფი, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კიდევ უფრო მაღალი შეფების მორჩილია. მისმა შეგირდებმა მართლაც რომ გამოიჩინეს თავი.

ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა როგორც არ უნდა შეაფერადოს, შეცვალოს, გადააკეთოს, სხვას გადააბრალოს და თან იფიცოს – არც გორში, არც სხვაგან მომხდარ აფეთქებებში ჩემი ხელი არ ურევიაო, საერთაშორისო საზოგადოებრიობა იტყვის – გვჯერა, მაგრამ ბოლო მაინც გვაკვირვებს.

გურამ ვაშაკიძე

თვითმმართველობა

# თუ სისულელეა, რაღას ვიხილავთ?

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს ქალაქთა კავშირი“ თვითმმართველობათა ასოციაციაა, რომელიც 40-ზე მეტ ქალაქს აერთიანებს. მისი მიზანია საქართველოში რეალური, ძლიერი და ეფექტიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

მომავალი წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის „საქართველოს ქალაქთა კავშირი“ მთელი ქვეყნის მასშტაბით იწყებს თვითმმართველობის რეფორმის მხარდამჭერ კამპანიას. საქართველოს რეგიონებში ჩატარდება 70 საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც თვითმმართველობის საკითხზე არსებული კონცეფციები და კანონპროექტები განიხილება და შესაბამისად, მასალებიც გავრცელდება. კამპანია ფინანსდება პროექტის „საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში“ ფარგლებში, ხოლო პროექტს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით „ურბანული ინსტიტუტი“ განახორციელებს.

თვითმმართველობის რეფორმის მხარდამჭერი კამპანიის გახსნის ცერემონიალზე იმსჯელეს, ძირითადად, ორ კონცეფციაზე. პირველის ავტორია ეფექტიანი მმართველობის სახელმწიფო კომისია. მისი სახელწოდებაა: „კონცეფცია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმისათვის“. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „ადგილობრივი დემოკრატიისა და თვითმმართველობისთვის“ დოკუმენტს ჰქვია: „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ხელისუფლების დონეებს შორის ადმინისტრაციული, ფინანსური, ქონებრივი და სამართლებრივი უფლებამოსილებების გამიჯვნის კონცეპტუალური მოდელი“.

რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფცია მოსახლეობის ინტერესებს? – ჰკითხეს შეხვედრაზე საგანგებოდ მოსულ პარლამენტარს, უმრავლესობის წევრს ალექსანდრე შალამბერიძეს. მან ამ კითხვაზე პირდაპირ უპასუხა: არანაირად არ ითვალისწინებს, და იქვე დასძინა, თანაც ეს კონცეფცია სისულელეაო. კონცეფცია, რომელიც ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, ეუთოს წარმომადგენლის მიხაილოვის დახმარებით შემუშავებულა, დასახლებულ პუნქტებში არსებულ თვითმმართველობების გაუქმებას ითვალისწინებს და თვითმმართველობის რაიონულ დონეზე ამოსვლას გულისხმობს, ანუ თვითმმართველობა აღარ ექნებათ ქალაქებს, სოფლებს, დაბებს.

ეს კონცეფცია მიუღებელია. „სახალხო ფორუმის“ წარმომადგენლისთვის ირაკლი მელაშვილისთვისაც. მას მოსწონს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტი.

– დაახლოებით 15 წელიწადია ვსაუბრობთ, რომ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა თავიდან არის შესამუშავებელი, – თქვა მან, – ჩვენ უნდა გადავიდეთ რეგიონალიზმის პრინციპზე. უნდა არსებობდეს რეგიონი და ქვევით თვითმმართველობა დასახლებულ პუნქტებში.

ხელისუფლების წარმოდგენილი ვარიანტი, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც ევროპული და, საერთოდ, დასავლური თვითმმართველობები ფუნქციონირებს – ადამიანი დასახლებული პუნქტებიდან გაუსვლელად უნდა წყვეტდეს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების 70-80 პროცენტს. სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, ეს საკითხები რაიონში იყრის თავს, რომელიც ზოგჯერ ასი კილომეტრითაა დაშორებული დასახლებული პუნქტებიდან.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ორივე ვარიანტი განსახილველია. სწორედ ამას ემსახურება „საქართველოს ქალაქთა კავშირის“ მიერ ამ კამპანიის დაწყებაც. ახლა ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. მან ხელისუფლებას უნდა მისცეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მესიჯი, თუ რა სურს.

ვფიქრობ, ქვეყანაში თვითმმართველობის ნორმალური განვითარება საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

„საქართველოს ქალაქთა კავშირის“ წევრებმა „შერატონ მეტეხი პალასში“ წარმოადგინეს



გრაფიკი, თუ საქართველოს რომელ ქალაქში ჩატარდება ზაფხულის განმავლობაში საინფორმაციო შეხვედრები. რეფორმის მხარდამჭერი კამპანია 1 აგვისტოდან გორში დაიწყება და 31 აგვისტოს ახალქალაქში დასრულდება.

თამარ შაიშმელაშვილი

იუსტიცია

# 25 თანამშრომელს პოსტი დაატოვებინეს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 2005 წლის 6 თვის განმავლობაში, სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებისაგან შემოსულ განცხადება-საჩივრებზე, 248 სამსახურებრივი, 6 კომპლექსური, თემატური და ნარკოლოგიური შემოწმება ჩაატარა. ამჟამად იგი 70 სამსახურებრივ შემოწმებას ატარებს.**

შემოწმების შედეგად, იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში მომუშავე 66 თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, აქედან 25 თანამშრომელი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა. მათ შორის, სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსი, სააღსრულებო დეპარტამენტის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი, 13 აღმასრულებელი, საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი, მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის მრჩეველი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულების 5 თანამშრომელი. ამავე სისტემის სამი თანამშრომელი სასჯელაღსრულების ორგანოებიდან დაითხოვეს. დისციპლინური პასუხისმგებლობა – შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური და სასტიკი საყვედური გამოეცხადა 41 თანამშრომელს.

გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების 23 მასალა, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, საგამოძიებო ორგანოებში გადაიგზავნა.

ლელა ცქიტიშვილი

ინფორმაცია

## შენს პირს შაქარი, უკრაინავ!

**საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია საქართველოს მთავრობას მიმართავს მაქსიმალურად პრაქტიკულად გამოიყენოს ის დადებითი ფონი, რომელიც უკრაინასა და საქართველოს შორის ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩამოყალიბდა.**

**ჩვენ გვაქვს უნიკალური საშუალება მოხდეს სტრატეგიული ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, რომელიც ქართული პროდუქციის ექსპორტის და შესაბამისად, ეკონომიკის სწრაფ ზრდას შეუწყობს ხელს“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ.**

**როგორც ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი მიიჩნევს, უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ვიზიტისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, „რის საშუალებასაც ვიზიტის ფორმატი და პრეზიდენტებს შორის არსებული პირადი ურთიერთობები ნამდვილად იძლევა“.**

**აღმასრულებელი დირექტორის ინფორმაციით, საქართველოსა და უკრაინას შორის მოქმედებს ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ცალკეულ პროდუქციაზე რიგ შეღავათებს ითვალისწინებს.**

**„დღევანდელ დღეს ღვინო და ღვინო მასალები განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენენ და ლიდერობენ ორ ქვეყანას შორის არსებულ სავაჭრო სტატისტიკის მიხედვით. თუმცა, არსებობს საკითხები, რომელიც ართულებს ორ ქვეყანას შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს“, – განაცხადა ისაკაძემ და დასძინა, რომ ბიზნესმენთა ფედერაციამ საქართველოს მთავრობას არაერთხელ მიმართა ამ საკითხთან დაკავშირებით. საკითხი ეხება საქართველოში წარმოებული შაქრის ექსპორტს უკრაინაში.**

**ორ ქვეყანას შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, უკრაინულმა მხარემ გადახედა ხელშეკრულების პირობებს და ქართული მხარის იგნორირებით, უკრაინაში შაქრის იმპორტის პირობები შეცვალა. კერძოდ, ამჟამად საქართველოში წარმოებული შაქრის იმპორტი უკრაინაში ტონაზე 300 ევრო ჯდება, რაც ქართულ შაქარს არაკონკურენტულ პირობებში აყენებს, – განაცხადა ისაკაძემ.**

**ფედერაცია თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას, განიხილონ ეს საკითხი პრეზიდენტ იუშჩენკოსთან, რათა მოხდეს შესაბამისი ხელშეკრულების პირობების გადახედვა, რომელიც რევოლუციამდელი მთავრობის გადაწყვეტილებით შეიცვალა.**

**„ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქართულ მხარეს საშუალება აქვს უკრაინა ყოველწლიურად 50-100 ათასი ტონა შაქრით მოამარაგოს, რაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული პროდუქციის მოცულებებს გაზრდის, გაამყარებს ქართული შაქრის, როგორც ბრენდის სახელს და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების სერიოზული წყარო გახდება“, – აღნიშნა აღმასრულებელმა დირექტორმა.**

## „თბილგაზის“ გენდირექტორად გიორგი გვიჩიანი დაინიშნა

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ „თბილგაზის“ თანამშრომლებს გუშინ ახალი გენერალური დირექტორი წარუდგინა. ამ თანამდებობაზე გიორგი გვიჩიანი დაინიშნა, რომელიც 2003 წლამდე „ეიი-ეს თელასის“ კომერციულ მენეჯერად მუშაობდა.**

**როგორც უგულავამ განაცხადა, „თბილგაზის“ ახალი ხელმძღვანელობის ძირითადი საქმიანობა სამი მიმართულებით უნდა შემოიფარგლოს. „თბილგაზმა“ უნდა იზრუნოს დედაქალაქში ბუნებრივი აირის შემოტანის საკითხზე, თუმცა ეს მხოლოდ კომპანიის პრობლემა არ არის და ამაში „თბილგაზს“ მერიაც დაეხმარება“, – განაცხადა უგულავამ.**

**მისი თქმით, „თბილგაზის“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა თანხების ამოღების გაუმჯობესებაზე და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზეც უნდა იზრუნოს. თუ ეს პრობლემები არ მოგვარდა, „თბილგაზი“ ყოველთვის მაჩანჩალა დარჩება“, - განაცხადა უგულავამ.**

ინტერპრესნიუსი

მოსაზრება

# რატომაც არა?

**საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ლეგიტიმურობის მორიგი კრიზისი გადაიტანა. მისი მიზეზები უფრო ღრმაა იმათთან შედარებით, რომლებიც ამოტივტივდა ზედაპირზე და აისახა ადამიანების, ძირითადად კი სპორტსმენების საპროტესტო აქციაში, რომლებმაც მოძრაობა გადაკეტეს რუსთაველის პროსპექტზე.**

**ჭრელმა ოპოზიციამ გამოიყენა ეს აქცია, რათა თავისი მოთხოვნები გამოეთქვა ხელისუფლების მისამართით, რომელიც დაადანაშაულა დემოკრატიის პრინციპების უგულებელყოფაში. „სპორტული გეკაჩეპეს“ შემდეგ საპარლამენტო ოპოზიციამ ხალხს ქუჩებში გამოსვლისთვის მოუწოდა. თუმცა, ერთობა ოპოზიციის რიგებში არ ყოფილა და „მორიგი რევოლუციაც“ არ შემდგარა.**

რატომ მიეცა პერმანენტული ხასიათი ხელისუფლების კრიზისს? რევოლუციონერებს უხდებათ ქართული სახელმწიფოს განვითარების წინანდელი პერიოდის ინერციის დაძლევა, იმ ამოცანების გადაწყვეტით, რომლებიც მემკვიდრეობით დარჩა ძველი ხელისუფლებისგან.

რევოლუციური ენერგია მათ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებს. რევოლუციური იდეოლოგია დროს არ ტოვებს რეფორმების თანამიმდევრული განხორციელებისთვის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩარჩოების შევიწროებას მოითხოვს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა და ოპოზიციის ლიდერებმა უკვე აღიმაღლეს ხმა დემოკრატიული უფლებების, უწინარეს ყოვლისა კი, სიტყვის თავისუფლების დასაცავად.

პარლამენტის ოპოზიციური ნაწილი და არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს იმაში, რომ ქვეყანაში არსებობს მმართველობის სუპერსაპრეზიდენტო ფორმა. შეზღუდულია პარლამენტის უფლებები, რომელსაც „ერთპარტიული“ „ჯიბის პარლამენტის“ ხასიათი აქვს. „თბილისის შესახებ“ კანონის მიღების დროს ხელისუფლებამ არ მოისურვა ანგარიში გაეწია საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ინტერესებისთვის, რომლებიც მერის პირდაპირი არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ.

რევოლუციონერები ცდილობენ ეს ბრალდებები ოპოზიციას დააკისრონ, უწოდებენ რა მას „კრიმინალურს“ ან „მარკოზაშვილის“ მსგავსებს, ადამიანებს, რომლებსაც ეშინიათ სიახლის, ცხოვრობენ ძველი დროის წესებით.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს ადამიანები ამჯობინებენ ასეთი კითხვის დასმას: რატომ ხდება ასე? მაგრამ მათ არ სურთ თავიანთ თავს დაუსვან კითხვა – „რატომაც არა?“. რატომ არ შეიძლება გავბედოთ და გავაკეთოთ ის, რისიც არ სწამდათ. ხომ არ სწამდათ, რომ გათავისუფლდებოდნენ აჭარაში „ფეოდალური ოლიგარქისგან“, არ სწამდათ საპატრულო პოლიციის შექმნის, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების შემოღების...

პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ საქართველოში გაჩნდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების, ქვეყნის პატრიოტების, კორუფციისგან თავისუფალი ხალხის ახალი თაობა.

გამოდის, რომ ერთ პოლუსზე უკვე გამოჩნდნენ „ახალი ადამიანები“, რომლებიც ესწრაფვიან დემოკრატიას, ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, მეორეზე კი – „მარკოზაშვილის დარბაზისელნი“. „ნათელი მომავლისთვის“ რევოლუციურ ბრძოლაში აუცილებელია დავაშორიშოროთ ერთმანეთისგან დაძაბულობის პოლუსები, მოვნიშნოთ „ჩვენები“ და „სხვები“. რას უნდა ნიშნავდეს პრეზიდენტის მოწოდება შიდა პოლიტიკური ბრძოლის გამწვავების პირობებში? მასების გატაცებას ახალი პროექტებით, მათი განხორციელებისთვის ამ მასების მომზადებას, იმის მცდელობას, რომ ჩამოაშორონ ისინი „კრიმინალურ ოპოზიციას“. რევოლუციის ერთ-ერთი რადიკალური იდეოლოგი გიგა ბოკერია ხომ თავის დროზე აცხადებდა, რომ „საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია“. იქნებ ეს პიარ-კამპანიის მორიგი სცენარია? იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ საქართველოში ხდება მორიგი განხეთქილება პოლიტიკური ელიტის რიგებში? კვლავ ცხადდება ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც „ფეხს ვერ გვიწყობს“?

მართლაც, ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ გამოეყვნენ ნაციონალურ მოძრაობას რესპუბლიკელები და კონსერვატორები, რომლებიც შორსმიმავალ მიზანს ისახავენ – ხელისუფლების მოპოვებას. ეგრეთ წოდებული „სოროსის ოპოზიცია“ კი გვიჩვენებს, რომ სურს კონსტრუქციული თანამშრომლობა ხელისუფლებასთან. ეს განსაკუთრებით ეხებათ რესპუბლიკელებს, მათი პარტიის ახალი თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მეთაურობით, რომელმაც ახალი სული უნდა ჩაბეროს „დემოკრატიული განახლებისთვის“ მოძრაობას. უფრო რადიკალურები არიან კონსერვატორები. აქტიურად მოქმედებენ „ახალი მემარჯვენეები“ და ლეიბორისტები. მაგრამ მათი განსხვავებული მიმართულებების, იდეოლოგიის, აზროვნების პარტიკულარიზმის გათვალისწინებით, ალბათ, საეჭვოა, რომ ამ პარტიებმა შეძლონ მმართველი პარტიის წინააღმდეგ ერთიანი ბლოკის ჩამოყალიბება. ჯერჯერობით არც ის ლიდერი ჩანს, რომელიც შეძლებს პარლამენტის და პარლამენტგარეშე ოპოზიციების გაერთიანებას. ნაკლებად აქტიურად იქცევა ოპოზიცია, რომელიც აერთიანებს „სახალხო ფორუმს“ და მოძრაობას „წინ, საქართველო“. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ „სააკაშვილის წინააღმდეგ“ გაერთიანების იდეამ უკვე განვლო აპრობაცია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო მომავალი ოპოზიციური მოძრაობის რეპეტიცია, რომელმაც გამოავლინა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურებანი. **ოპოზიციისთვის უფრო იოლია გაერთიანდეს ვიღაცის წინააღმდეგ, ვიდრე დაირაზმოს გარკვეული პოზიტიური იდეების ირგვლივ.**

ახლა ძნელი სათქმელია, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ვითარების გამწვავების ორგანიზატორი და ამ ქაოსურ მოძრაობაში მართლა თუ იგრძნობოდა „დემოკრატიის მმართველი ქაოსის“ ხელი. არამდგრადი „პოლიტიკური რეჟიმის ნავის“ რყევა ყოველთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახალი სახელმწიფოებრიობის შენობის აგება. **თუ საქმე ეხება ქართული პოლიტიკური ელიტისთვის ჩვეულებრივ თამაშს პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად, ეს საშიში თამაშია, თუმცა, მას მაყურებელი უკვე კარგა ხანია შეეჩვია.** საქართველოში უბრალო ადამიანები გაცილებით უფრო შეშფოთებული არიან მათთვის საარსებო სოციალური პრობლემებით. არადა, ამ პრობლემებს სულ უფრო განზე სწევენ. თუმცა, სოციალურ პრობლემებს პოლიტიკური პარტიები უთუოდ გაიხსენებენ არჩევნების წინ. ბრძოლაა მოსალოდნელი შემოდგომაზე, თბილისის მერის არჩევნების დროს. მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იყო 2005 წლის ივნისში გამართული რეპეტიცია.

იური სულაბერიძე,
პოლიტოლოგი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთში რუსული ბანკების შემოსავლების „გათეთრება“ ხდება

## ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტორთან რომან გოცირიძესთან

**– როგორი ტენდენციებით აღინიშნება სადღეისოდ საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება?**

– მთავარი ტენდენციაა ის, რომ ძალზე სწრაფად იზრდება კომერციული ბანკების კაპიტალი. შეინიშნება დიდი ინტერესი უცხოელი ინვესტორების მხრიდან, რომლებიც სულ უფრო დიდ სახსრებს აბანდებენ საქართველოს საბანკო სისტემაში. რამდენიმე კომერციულ ბანკში უცხოელმა ინვესტორებმა უკვე შეისყიდეს აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი. მაგალითად, რუსეთის „ვნეშტორგბანკი“ ფაქტობრივად, არის გაერთიანებული ქართული ბანკის აქციონერი, მას ეკუთვნის აქციათა 50 პროცენტი. საქართველოს ბაზარზე არის ასევე ყაზახეთის „თურანალემის“ ბანკი, უკრაინის, გერმანიის და ამერიკის ბანკები. გარდა ამისა, ინვესტორები დაინტერესებული არიან საქართველოში თავიანთი ბანკების ფილიალების გახსნით.

მეორე ტენდენცია, რომელიც სადღეისოდ შეინიშნება საქართველოს საბანკო ბაზარზე, არის მოსახლეობის ნდობის ზრდა ეროვნული ვალუტის – ლარისადმი. გასულ წელს საქართველოს ფულადი ერთეული 10 პროცენტზე მეტით გამყარდა. მიმდინარე წელს ლარის გაცვლითი კურსი აბსოლუტურად სტაბილური გახდა. ახლა ჩვენი ამოცანაა არა ის, თუ როგორ გავამყაროთ ჩვენი ვალუტა, არამედ ის, რომ არ დავუშვათ მისი ზედმეტად გამყარება. დღემდე გრძელდება დოლარის მიმართ ლარის კურსის გამყარების ტენდენცია. ყოველივე ეს გამოიწვიეს იმ დადებითმა ძვრებმა, რომელიც შეინიშნება ქვეყნის ეკონომიკაში ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ახალი ხელისუფლების ფორმირების შემდეგ.

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შემოდის დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტა, ძირითადად, პრივატიზაციის პროცესში ამონაგები სახსრები. ის ფაქტი,



რომ ჩვენი ვალუტა მყარდება უცხოური სახსრების შემოსვლის ხარჯზე, ერთი მხრივ, დადებით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, მეორე მხრივ კი, მოითხოვს ძალზე სერიოზულ მენეჯმენტს. ჩვენ არ გვსურს, რომ ეს პროცესი დაემსგავსოს ეგრეთ წოდებულ ჰოლანდიურ დაავადებას, არის ასეთი ტერმინი, რომელიც საბანკო წრეებში გამოიყენება მას შემდეგ, რაც ჰოლანდიაში აღმოაჩინეს გაზის დიდი საბადო და უცხოური ვალუტის შემოსვლა გაიზარდა კოსმოსური ტემპებით, მაგრამ ამან შემდგომში ეროვნული ვალუტის კრახი გამოიწვია. სადღეისოდ ჩვენ ვცდილობთ, მთავრობასთან ერთად დავარეგულიროთ ეს საკითხები. გარდა ამისა, ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება საბანკო დეპოზიტების მოცულობა. მარტო განვლილი ნახევარი წლის განმავლობაში მათმა მოცულობამ 100 მილიონ ლარს მიაღწია და ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება. ინფლაციაც საქართველოში ზომიერია – დაახლოებით 7 პროცენტი, და ჩვენი მიზანია, რომ მთელი წლის განმავლობაში იგი ამ დონეზე დარჩეს. წელიწადნახევრის მანძილზე საქართველოში ერთიორად გაიზარდა უცხოური ვალუტის რეზერვი და სადღეისოდ ეს ციფრი შეადგენს 465 მილიონ დოლარს. ასევე იზრდება სავალუტო რეზერვების გადიდების ტენდენციაც.

**– რას უკავშირებთ საქართველოს მიმართ უცხოური ბანკების მზარდ ინტერესს?**

– ამ ინტერესს განაპირობებენ საქართველოში მიმდინარე გარდაქმნები, საინტეგრაციო პროცესები, აგრეთვე ის ფაქტები, რომ ვახერხებთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მრავალი პრობლემის გადაჭრას. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში ჩაბმულია აჭარა, ეს კი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი „აბრეშუმის გზისთვის“, რადგან აჭარაზე ეს პროექტი წინათ პრაქტიკულად მთავრდებოდა. გარდა ამისა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა საქართველოში მოიზიდა მრავალი უცხოელი. საქართველო ხდება ძალზე მიმზიდველი ცენტრალური აზიისთვის, როგორც ტვირთების ტრანსპორტირებისთვის გამიზნული სატრანზიტო ქვეყანა.

**– თქვენ ახსენეთ ეგრეთ წოდებული „ჰოლანდიური ავადმყოფობა“. ხომ არ ემუქრება ეს დაავადება საქართველოსაც, რომელიც იწყებს შავი ზღვის შელფის დამუშავებას ნავთობისა და გაზის მოპოვების მიზნით?**

– თუ საქართველოში გამოჩნდება ნავთობი და გაზი, ეს ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება, მონეტარულ პრობლემებს კი, ჩემი აზრით, გავუმკლავდებით.

იხ. მე-5 გვ.

განსჯა

# რა საერთოა ახალგაზრდა კოსმონავტსა და ახალგაზრდა ხელისუფლებას შორის?



**რა ზრახვები აქვს რუსეთს საქართველოსთან, როგორ აპირებს ის ევროპის გაკონტროლებას? რა საერთო აქვს ახალგაზრდა კოსმონავტებს და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მთავრობას? — ეს არის საკითხები, რომლებზეც პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე [illegible] საუბრობს.**

**— ბატონო რამაზ, მოგეხსენებათ, კონფლიქტური ზონების საკითხებს ჯერჯერობით ვერ ვაგვარებთ. ქართული მხარის შეთავაზებებზე ოსები და აფხაზები [illegible]. რა შეიძლება [illegible] ამასთან დაკავშირებით?**

— კონფლიქტების სირთულე ის არის, რომ ცხინვალისა და სოხუმის [illegible] რუსეთის [illegible] რუსეთს სურს, რომ საქართველო გახდეს მარიონეტული სტრუქტურა და იყოს გამოკვეთილად რუსული ინტერესების გამტარებელი. ამაზე საქართველოს ძალიან გაუჭირდება დათანხმება. რუსეთის პოლიტიკაც და ეკონომიკაც სადღეისოდ არ არის იმდენად მიმზიდველი, რომ ამით აღვფრთოვანდეთ. მეორე მხრივ კი საქართველოს გაუჩნდა პერსპექტივები, რომელიც უფრო მიმზიდველია და არჩევანის შემთხვევაში, ცხადია, უკეთესს აირჩევს.

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველო და ზოგადად კავკასია რამდენიმე კუთხით საინტერესო აღმოჩნდა ევროპისთვის. ეს ინტერესი საქართველოს უფრო მეტ პერსპექტივას ჰპირდება, ვიდრე რუსეთის ორბიტაზე მიბმა. ეკონომიკური განვითარების პოტენციალი რუსეთს თითქმის შეჩერებული აქვს, ის დღემდე ენერგომატარებლების გაყიდვით ირჩენს თავს. ამასთან, მძიმე ეკონომიკური სხვაობაა რუსეთის ცენტრსა და მის პერიფერიებს შორის. რუსული პოლიტიკის თანახმად, თუ ის არ გააკეთა, რაც მას სურს, მაშინ მზად არის იყოს აბსოლუტურად დაუნდობელი, ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი ჩეჩნეთია. მიზნის მისაღწევად, რუსეთი ართულებს კონფლიქტების მოგვარებას, ანუ ის კარგი შეთავაზებით კი არ ცდილობს მიგვიზიდოს, არამედ, პირიქით, ცუდის წამოწევას ცდილობს, რათა გაიძულოს. ეს წმინდა ტერორისტული აზროვნებაა — თუ არ იქნები ისეთი, როგორიც მე მინდა, მაშინ გაგსრეს. რუსეთისთვის აფხაზეთიც და ცხინვალის ზონაც ტერორის საშუალებაა ჩვენს წინააღმდეგ.

**— საქართველოს, საერთოდ, კავკასიის ხელში ჩაგდებით რუსეთს, ალბათ, გაცილებით შორი მიზნები აქვს...**

— ცხადია. კავკასია არის საკვანძო-სატრანზიტო ქვეყანა. თუ რუსეთი ტრანზიტის გასაღებს ხელში ჩაიგდებს, ის შეძლებს გადაკეტოს ენერგომატარებლები. ეს საშუალებას მისცემს უკვე ევროპა ამოქმედოს ისე, როგორც მას სურს, რეალურად, რუსეთის ინტერესი მიმართულია ევროპისკენ. ევროპა იმიტომ სჭირდება, რომ [illegible]

**— როგორ შეაფასებდით თავად ქართული მხარის ნაბიჯებს კონფლიქტების მოგვარებისთვის? როგორ ხომ უნდა გადაეჭრა ეს ხელისუფლებას?**

— ამ კონფლიქტების მოგვარება იოლი არ არის. ის მთელი მსოფლიოს სისტემის შეცვლაზეა დამოკიდებული. არის ორი გზა. ერთი: დაჰყვე რუსეთს ბოლომდე, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ის მაინც არ მოაგვარებს ამ საკითხს, რუსეთი სხვების ინტერესებს მაშინ ითვალისწინებს, თუ სხვა გზა არ აქვს. და მეორე: კიდევ უფრო გაძლიერდეს ევროატლანტიკურ პოლიტიკაში საქართველოს ჩართვა. ამ გზას ისედაც ვადგავართ. ეს რაც შეეხება გარე პოლიტიკას, მაგრამ, ალბათ გამოუცდელობის შედეგად, მთლიანად წინააღმდეგობრივია შიდა სტრატეგია. ერთის მხრივ, ევროატლანტიკურ სტრატეგიაში ჯდებოდე, გინდოდეს, რომ მისი კომპონენტი იყო და, მეორეს მხრივ, ქვეყნის შიგნით, ცხინვალს და სოხუმს აღიზიანებდე, საქართველოს გამთლიანებას იარაღით ემუქრებოდე, ეს ორი სტრატეგია ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული, ვინაიდან, თუ ამ პროცესებს აფხაზების ან ოსების თვალით შევხედავთ, ადვილად დავინახავთ: — თუკი საფრთხე მელოდება საქართველოსგან, სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ კიდევ უფრო მივეწებო რუსეთს, არ მაქვს. ისე რომ, ნებისმიერი ომახიანი ყიჟინა საქართველოს მხრიდან, რეალურად, რუსეთისკენ უბიძგებს ცხინვალსაც და სოხუმსაც. არავის დაშინება შედეგს არ მოგვიტანს.

**— როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, დაშინების მეთოდებს დღევანდელი ხელისუფლება ქვეყნის შიგნითაც აქტიურად იყენებს. თქვენ რას იტყოდით?**

— დაშინება და ტერორი რუსეთის პოლიტიკის გატარებაა, რაც დაუშვებელია. უნდა გააცნობიერონ, რომ ეს ხაზი ხელისუფლებას არ გამოადგება და არც ხალხს წაადგება. ალბათ, იციან კიდეც.

**— თუ იციან, მაშინ რატომ იქცევიან ასე?**

— საბჭოთა პერიოდში, რუსეთიდან ჩამოსული პროფესორი კოსმოსის ფსიქოლოგიაზე გვესაუბრებოდა, მისი თქმით, ფსიქოლოგებისთვის ერთ-ერთი პრობლემა ახალგაზრდა კოსმონავტების სათანადოდ მომზადება იყო. ჩვენ გაგვიკვირდა, ვიფიქრეთ, ალბათ, სტრესგამძლეობაზე საუბრობდა, მაგრამ გვითხრა, რომ უარყოფითი შემთხვევების გამძლეობა კი არა, პირიქით, სიხარულის, ეიფორიის მიმართ გამძლეობა არის მოსაგვარებელი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ხომალდი მოსცილდა ორბიტას და წარმატება გარანტირებული გახდა. შიგნით მყოფმა ახალგაზრდა ფრანგმა კოსმონავტმა გააცნობიერა, რომ ის რეალურად უკვე საფრანგეთის გმირია, უზრუნველყოფილი აქვს ცხოვრება და ა. შ. მას თურმე ეიფორიისგან ჰიპერაქტივობა დაეწყო და ყველაფერს ხელს ჰკიდებდა, იყო საჭირო ეს თუ არა. დანარჩენი კოსმონავტები მას ხელში ურტყამდნენ, რათა ხომალდისთვის არაფერი დაეშავებინა.

**— ე. ი. საზოგადოების დაშინება ეიფორიით უნდა ავხსნათ?**

— ხელისუფლებას მართვის გამოცდილების გარდა ეიფორიის გამოცდილებაც სჭირდება. მე გამოუცდელობის ეიფორიით ავხსნიდი ამ ფრაგმენტს. ჩანს თვითონ ხელისუფლებას სიამოვნებს ძალაუფლების დემონსტრირება. ნუ გაგიკვირდება, რომ დღევანდელი მმართველი ძალა ეიფორიაშია. როდესაც ჩვენ ავირჩიეთ ახალგაზრდა ხელისუფლება, უნდა შევეჩვიოთ, რომ ეიფორია გარკვეული პერიოდი ექნება. არ ვთვლი, რომ ჩვენს არჩევანში ბოლომდე სწორი ვიყავით. ქართველებს ცოტა მეტი წინდახედულობა რომ გვქონოდა და გაგვეზომა ის, რასაც ახლა ასე გამწარებული ვაკრიტიკებთ, მაშინ პარლამენტს ავირჩევდით უფრო ჭრელს და პარლამენტი დააბალანსებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამომრჩევლის შეცდომას ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ, მას სავსებით ბუნებრივად აქვს მართვის ეიფორია, არ იცის რა მოუხერხოს ძალაუფლებას, რომელიც ხელში ჩაიგდო.

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება მას ნორმალური ოპონირების საშუალებას არ აძლევს, როგორ უნდა იმოქმედოს?**

— ოპოზიციის მდგომარეობა სავსებით გასაგებია. სასურველია ხელისუფლებამ გაიგოს მისი ნაბიჯების უარყოფითი შედეგი, რომ ძალით მოქმედება საპასუხოდაც იგივეს იწვევს და უნდა შეცვალოს ეს პრინციპი. ანუ, ოპოზიციამ ხელისუფლება უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ წამგებიანია ძალისმიერი პოლიტიკა. ეს შეიძლება მოხდეს პოლიტიკური დიალოგით, ხოლო თუ პოლიტიკური დიალოგი შედეგს არ იძლევა, მაშინ, ალბათ, მოსახლეობის იმ მხარდაჭერის მოპოვებით, რომელიც უკვე ძალას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებაც იძულებული გახდება ყურადღებით მოისმინოს ყველას აზრი.

**— შექმნილ ვითარებაში ხალხის მხარდაჭერა ახალი რევოლუციის აუცილებლობას ხომ არ წარმოშობს?**

— არის ამის საშიშროება, მაგრამ ჩვენ გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ.

ესაუბრა
ლელა ხვადაგიანი

ბიუჯეტს რაღა?

# ქონებას ანიავებენ, თანხებს კი ითვისებენ

**დღეს საქართველო ყოველნაირად ცდილობს ეკონომიკური აღმავლობის მიღწევას. თვით პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც და მთავრობის მეთაურიც მუდმივად ცდილობენ რეალური ნაბიჯების გადადგმას, რათა ხელი შეუწყონ ბიზნესის განვითარებას, შესაბამისად კი, სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდას.**

**სამწუხაროდ, დღემდე შემოგვრჩა დარგები, ცალკეული საწარმოები, რომლებიც მუშაობენ ძველი მეთოდებით, სულაც არ აინტერესებთ გადასახდის გადახდა, ხაზინის შევსება. ერთ-ერთი ასეთია ტრანსპორტის სფერო. აქ დიდძალ ფულს აკეთებენ, მაგრამ შემოსავლებს მალავენ, ბიუჯეტს არაფერს აძლევენ. სასწრაფოდ შესამოწმებელია სატრანსპორტო ობიექტები, რათა დარღვევები გამოაშკარავდეს და დამნაშავე პირები პასუხისგებაში მიეცეს. და აქ მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს საგადასახადო ინსპექციასაც და ფინანსურ პოლიციასაც, თორემ აქციონერებიც ზარალდებიან და ჩვეულებრივი ადამიანებიც.**

მე ახლა კონკრეტულად შევეხები სააქციო საზოგადოება „ტრაქტებს“, რომელიც სწორედ სატრანსპორტო საწარმოა და რომელშიც წლების მანძილზე დიდი დარღვევებით მუშაობს მისი ხელმძღვანელობა. ამის შესახებ პირადად რამდენჯერმე მივწერე კიდეც სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ჯერჯერობით არავის არავითარი ქმედითი ღონისძიება არ განუხორციელებია, არავისთვის საკადრისი პასუხი არ მოუთხოვია...

„ტრაქტები“ სამგორის რაიონის სასამართლოში რეგისტრაციაში გატარდა 1996 წლის 29 თებერვალს № 06/5-23 დადგენილებით. აქ ჩემთან ერთად აქციების მფლობელები არიან ჩემი შვილები — ზურაბ და მერაბ ყვავაძეები. სულ ვფლობთ აქციათა 38,73 პროცენტს. სააქციო საზოგადოების აქციონერი ვარ მისი დაფუძნების დღიდან. თავიდან სააქციო საზოგადოების დირექტორი იყო ჯონი ციცხვაია, ხოლო 2000 წლის მაისიდან დღემდე მისი დირექტორია მერაბ გოგუაძე. ამავე დროიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა ვარლამ ბაკურაძე.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა 1996 წლის 7 თებერვლის აუდიტორული დასკვნით განისაზღვრა 589.800 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში. 2005 წლის 1 იანვრისთვის კი, საბუღალტრო ჩანაწერებით, სააქციო საზოგადოების ქონება შეადგენს 300.000 ლარს. ამაში შედის ბალანსის როგორც პასიური, აგრეთვე აქტიური ნაწილი, მათ შორის 85 ერთეული ავტობუსი.

დღემდე „ტრაქტების“ არც ერთ აქციონერს დივიდენდი არ მიუღია. ეს გამოწვეულია სააქციო საზოგადოების დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს უხეირო ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცუდი გამოყენებით. ყველაფერი კეთდება „ტრაქტების“ კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც აზარალებს აქციონერებსაც და სახელმწიფოსაც.

კერძოდ, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული ექსპერტიზისა და სერტიფიკაციის შპს „თბილექსპერტიზის“ 2003 წლის 22 აპრილის საბუღალტრო ექსპერტიზის № 5-968 და შპს ფირმა „კონსაუდის“ 1999 წლის 5 ოქტომბრის დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნებით დადგენილია, რომ „ტრაქტების“ ხელმძღვანელი მუშაკების და ბუღალტრის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით 1996-1998 წლებში საზოგადოებას მიადგა დიდი მატერიალური ზარალი:

– 1996 წელს საზოგადოების ანგარიშზე იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხებიდან მძღოლების მიერ საწარმოს ანგარიშზე შეტანილი არ არის 75.340 ლარი; 1997 წლის 1 სექტემბრიდან 1 იანვრამდე – 87.052 ლარი; 1997 წლის 1 სექტემბრიდან 1999 წლის 1 იანვრამდე „ტრაქტებში“ შემოსავალში არ არის აღებული ავტოსადგურ სს „დიდუბიდან“ – 139.587 ლარი; სს „ავტოსადგურ სვირიდან“ – 50.445 ლარი; სს „თბილისის ცენტრალური ავტოსადგურიდან“ 5.762 ლარი; ავტოსადგურ შპს „სისტემა სოლო პლუსიდან“ – 151.191 ლარი.

დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამეფებული მახინჯი წესით, მძღოლები „ტრაქტებში“ არ წარადგენდნენ საგზაო ფურცლებისა და მგზავრთა გადაყვანის უწყისების მნიშვნელოვან რაოდენობას და მათ შესაბამის თანხებს. ასევე არ ახდენდნენ ანგარიშგებას ავტოტრანსპორტზე არსებული დანახარჯების თაობაზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ბუღალტერიაში არ მიდიოდა მთლიანი შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა, წმინდა შემოსავლის დადგენა და მისი დაბეგვრა. ამავე დასკვნებით დადგენილია, რომ მოიჯარე მძღოლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები არ შეჰქონდათ საზოგადოების სალაროში, ხოლო „ტრაქტების“ ბუღალტერია არ ეწეოდა შეუტანელი (მითვისებული) თანხების მოიჯარეებზე დარიცხვას, მათი, როგორც დებიტორების, პერსონიფიცირებას და ამ თანხებს ასახავდა რეალიზაციის ანგარიშზე. საზოგადოების ხელმძღვანელობაც არაფერს აკეთებდა კანონიერი გზით მძღოლებისაგან ამ თანხების ამოსაღებად.

ამავე დასკვნებიდან გამომდინარე, 1996-1998 წლებში „ტრაქტებში“ შემცირებული შემოსავლების გათვალისწინებით წმინდა მოგებამ შეადგინა 348.551 ლარი. აქედან პირადად მე დივიდენდის სახით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.2 მუხლით უნდა მიმეღო 132.449 ლარი, მაგრამ არ მიმიღია, რადგან ეს თანხები მიითვისეს და საბუღალტრო დოკუმენტაციაში არ ასახეს.

2003 წლის მაისისთვის „ტრაქტებს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა დავალიანება 599353 ლარის ოდენობით. მათ შორის 319.829 ძირითადი თანხის, ხოლო 279.524 ლარი სანქცია-საურავების სახით. საზოგადოებამ დავალიანება არ გადაიხადა. საგადასახადო ინსპექციამ დააყადაღა ქონება აუქციონზე გასაყიდად. ამაზე მე გამომიგზავნეს ოფიციალური შეტყობინება და მომცეს წინადადება თანხა დამეფარა, როგორც დომინანტ აქციონერს. იმისათვის, რომ გადამერჩინა „ტრაქტების“ ქონება და, აქედან გამომდინარე, როგორც ჩემი, ისე სხვათა აქციები, იძულებული გავხდი თი-ბი-სი ბანკიდან ამეღო რეინვესტიციის სესხი და შემეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით, ჩემს მიერ გადახდილი თანხა ჩაითვალა „ტრაქტების“ გადახდილად. ესე იგი, მე გადავიხადე მთელი საზოგადოების დავალიანება, რის შემდეგაც გავხდი „ტრაქტების“ კრედიტორი. რაც ყველაზე სამწუხაროა, 2003 წლიდან დღემდე „ტრაქტები“ ისევ აგრძელებს საბიუჯეტო დავალიანებების წარმოქმნას. ეს გამოწვეულია საზოგადოების გენერალური დირექტორის მერაბ გოგუაძის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და წევრების, ასევე მძღოლების მიერ საბუღალტრო აღრიცხვის შეგნებულად მოშლით, სააქციო საზოგადოების კუთვნილი ფულადი სახსრების მითვისებით. სწორედ ამის გამო, ჩვენს ხელთ არსებული დამამტკიცებელი დოკუმენტაციით, „ტრაქტებს“ ერიცხება 2004-2005 წლების საბიუჯეტო დავალიანება დაახლოებით 200.000 ლარის ოდენობით. ჭკვიანური, გააზრებული მენეჯმენტის შედეგად კი „ტრაქტები“ იმუშავებდა დიდ მოგებაზე, რის შედეგადაც სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერი მიიღებდა შესაბამის დივიდენდებს, სახელმწიფო ბიუჯეტი კი დიდ თანხებს.

1996 წლის 30 მაისს ჩემმა შვილებმა, მერაბ და ზურაბ ყვავაძეებმა „ტრაქტებში“ აქციების შესასყიდად შეიტანეს 70.000 აშშ დოლარი, რაზედაც საზოგადოების იმდროინდელი თავმჯდომარის ჯონი ციცხვაიას და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით მოგვცეს ფულის შეტანის ქვითარი 70.000 აშშ დოლარზე. შემდგომ გაირკვა, რომ მათ საქართველოს ბანკში ზურაბ და მერაბ ყვავაძეების სახელზე მხოლოდ 63.000 აშშ დოლარი შეიტანეს, 7.000 აშშ დოლარი კი მიითვისეს. ეს ფაქტი დადასტურებულია თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით. მან სამოქალაქო წარმოების წესით „ტრაქტებს“ დააკისრა მოპარული თანხის დაბრუნება, მაგრამ დღემდე ჩემს შვილებს არაფერი არ მიუღიათ. არადა, დირექტორისა და მთავარი ბუღალტრის ქმედებებში არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. ეს გულისხმობს სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვას, რისთვისაც ამ პირთა მიმართ უნდა დაიწყოს საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნა.



ლევან მართაშვილის ნახატი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: 1996 წლისათვის სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო კაპიტალი, ქონებრივი შენატანის სახით, შეადგენდა 589.800 აშშ დოლარს; 2005 წლისათვის კი საზოგადოების ქონება, მთავარი წიგნის მიხედვით, შეადგენს 300.000 ლარს – პირვანდელის თითქმის მესამედს. ხელმძღვანელები „ტრაქტებს“ ხელოვნურად აკოტრებენ, მოგების ნაცვლად შეგნებულად ზარალობენ, ბილეთებზე რიგი დგას, ისინი კი თურმე მოსკოვსა და სამარაში რეისებს 5-10 მგზავრით ასრულებენ. სწორედ ამიტომ უნდა აგონ პასუხი საზოგადოების დირექტორმა მერაბ გოგუაძემაც, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ ბაკურაძემაც და მთავარმა ბუღალტერმაც, რომელმაც უამრავჯერ დაარღვია ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნისა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტაციის წარმოების წესი.

ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა, უპირველესად კი, სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, ყოველივე ამას მკაცრი შეფასება უნდა მისცენ. ერთ თვეზე მეტია, რაც „ტრაქტების“ საქმით დაინტერესდა საფინანსო პოლიცია. გამოძიება ჭიანურდება. უკვე დევს დოკუმენტური მასალები, სასამართლო გადაწყვეტილებები 600.000-ზე, 500.000-ზე, 200.000-ზე, როგორც მითვისებულ-გაფლანგულზე. ამას რაღა ძიება უნდა? რატომ ტემპს არ აჩქარებენ? დროზე უნდა გადააყენონ დირექტორიც, სამეთვალყურეო საბჭოც, რათა შეჩერდეს ზარალიანი მართვა, საწარმოს გაკოტრება. მე არა ვარ ულევი ყულაბა, რომ მაგათი შეჭმული ფულები მუდმივად ვფარო. გარდა ამისა, როცა მაგათ არა სჯიან, სხვებიც თამამდებიან, არ იხდიან. ეს კი სრულიად საქართველოს ვნებს. იძულებული ვარ სასამართლოში ვუჩივლო საგადასახადო ინსპექციასაც და საფინანსო პოლიციასაც. მე ასე მწამს: საკადრისად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც დღემდე უნამუსოდ ძვრება აქციონერთა ჯიბეშიც და სახელმწიფო ბიუჯეტშიც.

**ზურაბ ყვავაძე,**
**სააქციო საზოგადოება „ტრაქტების“ მსხვილი აქციონერი.**

ინფორმაცია

## ცხინვალში გაზიფიკაციაზე ქართული კომპანია მუშაობს



**ცხინვალში გაზიფიკაციის პროცესი გრძელდება. კომპანია „იუგოსეტგაზის“ ხელმძღვანელი ვლადიმერ ბიტიევი აცხადებს, რომ გაზიფიკაციისთვის ჩატარებულ ტენდერში ქართულმა კომპანიამ „თემქა-4“-მა გაიმარჯვა. 22 ივლისს „თემქა-4“-ის ბრიგადებმა ცხინვალის ობიექტები დაათვალიერეს და მუშაობას დღე-დღეზე დაიწყებენ.**

**„იუგოსეტგაზის“ ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ცხინვალის ქუჩებში მიწისქვეშა და მაგისტრალური გაზსადენები აღდგება. აღნიშნულ სამუშაოებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციის შესახებ ევროკავშირის მესამე პროგრამა ითვალისწინებს.**

**პროგრამას მხარეებმა საქართველოში ეუთოს მისიისა და ევროკომისიის დელეგაციის შუამავლობით მოაწერეს ხელი. პროგრამის ბიუჯეტი 2,5 მილიონ ევროს შეადგენს.**

## 200-ლარიანზე ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი გამოისახება

**200-ლარიანი ნომინალის ბანკნოტზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი და აფხაზეთის (სავარაუდოდ სოხუმის) ხედი იქნება გამოსახული. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ეკონომიკის ყველაზე წარმატებული პროექტების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო.**

**„ეს გახლდათ მოაზროვნე, რომელიც ჯერ კიდევ 100 წელზე მეტი ხნის წინათ საქართველოს განვითარების ერთადერთ, სწორ გზად ევროპასთან ინტეგრაციას მიიჩნევდა. მისმა ოცნებამ ხორცი 21-ე საუკუნეში შეისხა“, — განაცხადა გოცირიძემ.**

**ნიკო ნიკოლაძე სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ფოთის ნავსადგურის, ჭიათურის მანგანუმის, ამიერკავკასიის რკინიგზისა და თბილისის წყალსადენის მშენებლობის, ტყიბულის ქვანახშირის და სხვა პროექტებს.**

**200-ლარიანი ნომინალის ბანკნოტის მე-2 მხარეს აფხაზეთის, სავარაუდოდ, სოხუმის ხედის გამოსახვასთან დაკავშირებით რომან გოცირიძე აცხადებს: „ჩვენ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ამდენად, ჩვენი ვალია, რომ კონფლიქტი აფხაზეთში დროულად მოგვარდეს. ქართულ ბანკნოტზე აფხაზეთის ხედის გამოსახვა იმის ნიშანიცაა, რომ აფხაზეთი სამშობლოა, როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის და იქ ჩვენმა ხალხებმა ერთად უნდა იცხოვრონ“.**

**მედიანიუსი**

## აქცია საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან

**საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზში დაწყებულმა აჟიოტაჟმა საკონსტიტუციო სასამართლოს წინ გადაინაცვლა. სასამართლოს შენობასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასამბლეის და დაუმორჩილებლობის კომიტეტის წარმომადგენლებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს.**



**აქციაში მონაწილეობდნენ ყოფილი პარლამენტარები გურამ შარაძე, ანზორ აბრალავა და ელიზბარ ჯაველიძე, აქციას ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებიც შეუერთდნენ.**

**აქციის მონაწილეები აპროტესტებენ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასამბლეის და დაუმორჩილებლობის კომიტეტის საკონსტიტუციო სარჩელი წარმოებაში არ მიიღეს.**

**საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასამბლეისა და უნივერსიტეტის დაუმორჩილებლობის კომიტეტის წარმომადგენლების საკონსტიტუციო სარჩელი პრეზიდენტ სააკაშვილის 8 ივნისის ბრძანების გაუქმების თაობაზე გუშინ წარმოებაში არ მიიღო.**

**სასამართლომ მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა სარჩელში პრეზიდენტის ბრძანებულების ანტიკონსტიტუციურობა დაუსაბუთებულია და მასში შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.**

**[illegible]**

**ინტერპრესნიუსი**

რეგიონი

# ბორჯომის ფერისცვალება

**რა თქმა უნდა, ბორჯომის ადმინისტრაციული სახლის ფასადზე ვერსად შეხვდებით, ვთქვათ, ასეთი სახის განცხადებას — „გამგეობა არ მუშაობს, ყველანი პარკში წავედით“, მაგრამ თუკი გადახედავთ ქალაქის ქუჩებს, მოედნებს, სკვერებს, [illegible]**

[illegible] საც აქ უფრო ხშირად ნახავთ, ვიდრე თავიანთ სამუშაო კაბინეტებში.

დღეს რომ ქალაქი გამოიყურება, ასეთი არ ახსოვთ მის ყველაზე [illegible]

[illegible] ზის სადგურის წინ პარკში ფილადაგებულ ბილიკებზე სეირნობა. ახლა რკინიგზის სადგური ავ თვალს არ ენახვის. თეთრი, კოპწია, ქათქათა, ხუჭურთმა-ორნამენტებით [illegible]



[illegible] ნის კონსტრუქციებით შეიცვალა ძველი ე. წ. „სამფეხა“ მინერალური წყლების ბიუვეტი. იქვე მდინარის პირას მთავრდება ღია გალერეის მშენებლობა. იგი გამჭვირვალე მინით გადაიხურება. პლატოზე კი საცაა დამთავრდება „ეშმაკის ბორბალის“ მონტაჟი, [illegible]

[illegible] რე ბორჯომულას გემოვნებით გაფორმებულ დეკორატიულ კედელთან შევხვდი რაიონის გამგებელს გიორგი ტალახაძეს და მის მოადგილეს თემურ სტეფნაძეს.

— სახელდახელო თათბირი გვქონდა. [illegible]

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**რაც გულმა ვერ დაიტია...**

# მერე სირცხვილი არაფერს გვიშველის

**... მას შემდეგ ოცდაათი თუ ორმოცი წელი გავიდა და გულს მიღრღნის [illegible] — ნეტუ, ასეთი რამ შეიძლებოდა-მეთქი, რომ გავიფიქრე!**

**[illegible]**

[illegible]

...განათლების სისტემაში მუშაობდა, კაცთმოყვარე, პატრიოტი პიროვნების სახელი ჰქონია და 37-ში დაღუპულა. როგორ დაიღუპა, რატომ დაიღუპა, გარდაიცვალა თუ?..

მე და ჩემი თანამგზავრი დილით რკინიგზის სადგურზე დავცილდით ერთმანეთს, — ალიონზე ხომ არ მივადგებოდით კარზე ისედაც დამწუხრებულ ოჯახს და ხომ არ ავაფორიაქებდით? შუადღისას კი მე და ჩემი თანამგზავრი კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ახლა უკვე იმ უბედური ოჯახის ეზოში, სამძიმარზე მისულები. მტრისასო, რომ იტყვიან, ისიც არაფერია იმასთან შედარებით, რაც იქ უბედურება ტრიალებდა!

ვიდექით ეზოს განაპირას და ეს ზღვა ცრემლი გვიკუმშავდა გულს. მოდიოდნენ ნაცნობ-მოკეთეები, მეგობრები, შედიოდნენ დარბაზში, სადაც ვაჟკაცი ესვენა და იქიდან მობრუნებულები ჩვენს მხარეს მწკრივდებოდნენ, მწუხარებას გვიზიარებდნენ, მერე „თბილისურ ამბებზეც" გვეკითხებოდნენ, ისე, სასხვათაშორისოდ, სიტყვის მასალადო, რომ იტყვიან, ისე!

შუადღის ჟამს, როგორც წესი და ადათი მოითხოვს, თანასოფლელების პროცესია შემოლაგდა ეზოში, გვირგვინებით, ყვავილებით, ცრემლებით, გულწრფელი მწუხარებით — ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, ბავშვები და კიდევ ერთხელ ვიგრძენით ოჯახის დიდი უბედურება. თანასოფლელებს, რაიონში ცნობილი, ოთხმოცდაათ წელს მიღწეული ბერიკაცი მოუძღოდა. მეც ვიცნობდი მას, მახვშად იწოდებოდა იმ მხარეს და მისი სიტყვა კანონად იყო მიღებული. მართალი გითხრათ, მის დანახვაზე ჩემი თანამგზავრის სახეზე უეცარმა სიფერმკრთალემ გამაოცა.

— ცუდად ხომ არა ხართ-მეთქი, — ვკითხე.

[illegible]

და ადამიანი.

— მიხარია, მიხარია, ჩემი გაზრდილი ასეთი ცნობილი კაცი, რომ ხარ... — სიხარულს ვერ ფარავდა მოხუცი, — რა არის ბიჭო, ასე უნდა დამივიწყო, ა? დღეს ვარ და ხვალ აღარ ვიქნები... ასე უნდა დამივიწყო?.. იცოდე, შენი ცრემლები მაინც არ დამაკლო!..

ჩემს თანამგზავრს თვალები მართლაც აევსო ცრემლებით. მერე, როცა პირველი შეხვედრის ემოციები ნაწილობრივ გაფერმკრთალდა, ხელმკლავი გამომდო და გავისეირნოთო, მითხრა. ეზოდან გავედით. ბილიკს ავუყევით და რცხილნარის ჩრდილში მოკამკამე წყაროსთან შევჩერდით.

ხელისგულივით ჩანდა აქედან სოფელი.

— იცი, მართალი იყო ის ბერიკაცი... ნახევრად, მართლაც, მისი გაზრდილები ვართ მე და ჩემი და-ძმები...

მოწიწებით განვიმსჭვალე მოხუცისადმი.

— ჰო, მისი გაზრდილები ვართ... — თქვა და ჯიბიდან აბი ამოიღო, პეშვით მიაყოლა წყაროს წყალი და ჩაფიქრდა.

— რა იყო, ცუდად ხომ არ ბრძანდებით? — კვლავ ვკითხე. არაფერი უთქვამს. კვლავ იყუჩა და მერე თქვა:

— ამ კაცმა დახვრიტა მამაჩემი... მეხი გავარდა, თითქოს!

— ეს კაცი „მაუზერით" დადიოდა მაშინ... დილაუთენია მოსულიყო... ბავშვებს გვეძინა... მამაჩემისთვის უთქვამს, რაიონში გიბარებენო, გზაში ცოტა სახიფათოა და მე დამავალეს თქვენი გაცილებაო... რაიონიდან თბილისში წასულიყვნენ... რა მიზნით, რატომ, არაფერი ვიცოდით, ხშირად ამბობდა... მამა თბილისიდან არ დაბრუნებულა!.. ის კი მესამე დღეს სოფელში იყო...

ვერაფერი ვთქვი. ან რა უნდა მეთქვა?

— ... შემდგომში, რატომღაც, თავს

[illegible] გა-

ზეთში, მაგრამ მაინც გაზეთში, ო, რამდენჯერ დამიწერია იმ „გამზრდელზე", „ნამდვილ ბოლშევიკზე", პატარა საგაზეთო წერილები, როგორც „ჩვენს აღმშენებელზე" და „ვეტერან კომუნისტზე"!.. ვწუხვარ დიდად, სიმართლე რომ არ ვიცოდი, სიმართლეს რომ არ ვწერდი, თურმე, მაგრამ დღესაც რომ მიჭირს ბოლომდე ვთქვა სათქმელი? დღესაც ბოლომდე ვერ ვარ მკითხველთან მართალი, — ვერ ვასახელებ სოფელს, რაიონს, ვინაობას ერთისა, მეორისა თუ მესამისა, მაგრამ მთავარია ამბავი, რომლის მსგავსი ვინ იცის, რამდენი იყო?

ძალიან გთხოვთ, ნამდვილობაში ნუ შეგეპარებათ ეჭვი (პირიქით, დაწვრილებითაც კი მოგიყევით) და მაინც, ბოლომდე დღესაც თუ ვერ ვამბობ ყველაფერს, რცხილიანის ჩეროსთან მოკამკამე წყაროს დაჩერებული ჩემი თანამგზავრის თხოვნა მახსენდება და არ მინდა „სავალალოდ" გავუხადო საქმე იმ „გამზრდელის" უდანაშაულო ნაშიერთ. ვინ იცის, იქნებ ისედაც იციან ეს ამბავი და რცხვენიათ კიდეც, მაგრამ ვერ ამოთქვამენ გულის ბალღამს.

მინდა ბოდიში მოვუხადო მათაც, თუ ამ სტრიქონებმა კვლავ გაახსენათ ძველი ჭრილობები, მაგრამ რა ვქნა, მეც ვერ შევძელი მეტის მოთმენა, — იმისი მრცხვენია, — ნუთუ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო-მეთქი, რომ გავიფიქრე მაშინ!

ამ ამბის რეალობაში ეჭვი არ შეგეპაროთ-მეთქი!

დიახ, სამწუხაროდ, ნამდვილი ამბავია...

უბრალოდ, ეს ამბავი ერთი ჩემი თანასოფლელი ბრძენკაცის სიტყვებმა გამახსენა დღეს: — „ფრთხილად იყავი, ბაბა! თუ გადატანილ უბედურებას დავივიწყებთ, სწორედ მაშინ არ აგვცდება უბედურება და მერე სირცხვილი ვერაფერს გვიშველის!"

**ზაურ ფიფია**

**რეაბილიტაციის ცენტრი**

# მოსვლა თავის ნებაა, სხვათა შორის – წასვლაც

**„...საქართველოში ყოველი მეოცე ბავშვი იღუპება..." — ეს არის ფრაზა სატელევიზიო კლიპიდან „მომავალი სიღარიბის გარეშე". მერედა ვის გასაგონად? — სიდუხჭირესთან წილნაყარი ქართველი ერის, თავის თავი რომ გასჭირვებია და დაღუპულიცა და ცოცხალიც საფიქრალ-სადარდებელი გახდომია!**

**ქუჩაში მოხვედრილი 150 არასრულწლოვანიდან 42 პროცენტი თუ მეძავეობს, დანარჩენები მათხოვრობითა და ქურდობით ირჩენენ თავს. ყველა ერთად წებოს ყნოსვით, ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით ბრუვდება.**

— საზოგადოება თუ თავის მომავალზე ფიქრობს, ყველა ღონე უნდა იხმაროს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თორემ, მერწმუნეთ, ეს ჩვენ ბუმერანგივით დაგვიბრუნდება! — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის „ბავშვი და გარემოს" მიერ თბილისში ქუჩის ბავშვებისათვის ჩამოყალიბებულმა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ბელურების" დირექტორმა ნანა რობაქიძემ.

ჩვეულებრივი ბავშვთა სახლისგან საგრძნობლად განსხვავებული რეაბილიტაციის ცენტრი 1997 წლიდან არსებობს, დღისა და ღამის სექტორს აერთიანებს და ქუჩის ბავშვების გარდა, რამდენიმე კატეგორიის (სოციალურად დაუცველ, რისკის ჯგუფის...) მოზარდებსაც (6-დან 16 წლამდე) ეხმარება. „ბელურებში" მოსვლაც ბავშვის ნებაა და წასვლაც.

— მოვიპატიჟებთ ბავშვებს ამა თუ იმ ღონისძიებაზე. ისინი ხედავენ თავიანთი თანატოლების ცხოვრებას. აკვირდებიან გარემოს. ზოგიერთი რწმუნდება, რომ აქ სჯობს და რჩება, — ასე აგვიხსნა ქუჩის ბავშვების მიზიდვის ერთ-ერთი მეთოდი პედაგოგმა ომარ ბერძენიშვილმა.

ბოლო დროს ღამის ცენტრის ბინადართა რიცხვის 25-დან 40-მდე გაზრდა კი პატრულის დამსახურება ყოფილა.

სარეაბილიტაციო ცენტრი ცდილობს, მოზარდს ჯანსაღი და არაჯანსაღი ცხოვრების წესს შორის სწორი არჩევანის გაკეთების უნარი ჩამოუყალიბოს, მაგრამ დრო და დრო ბავშვს მშობელი აკითხავს და მიჰყავს იგი სამათხოვროდ, ღამ-ღამობით არყის საძებნელად... მერე აბრუნებს. აქედან წასულ აღსაზრდელს უჩნდება პროტესტის გრძნობა. უნდა ძველ ცხოვრებას თავი დაანებოს, ამიტომაც იძულებს მშობელს, რომელიც უკან ექაჩება. ასე რომ არ მოხდეს, აქტიურად ვმუშაობთ მშობლებთანაც, — ამბობს ცენტრს ფსიქოლოგი ნინო მამულაშვილი.

ცენტრიდან გასულმა წარსულისთვის თავის არიდება და დამოუკიდებლად არსებობა რომ შეძლოს, „ბელურებში" სხვადასხვა ხელობას ასწავლიან: კერვის, ქსოვის, ხატვისა და მინანქარზე მუშაობის გარდა, კეთილმოსურნეთა ინიციატივით, გოგონები თმის შეჭრა-დავარცხნის, ბიჭები კი ბარმენობის კურსებს გადიან.



„ბელურების" წარმატებებს, ყოველწლიურ გამოფენებს გალერეა „ბაიასა" და „ვერნისაჟში", ჭიათურაში დადგმულ „ბურატინოსა" და სპორტულ მიღწევებს, წელს ერთ-ერთი აღსაზრდელის თეატრალურ ინსტიტუტში ჩარიცხვა და სულ ახლახან 14 წლის თემურ გოგიჩაშვილის მიერ ამერიკაში ხატვის კონკურსში მიღებული გრანპრიც მიემატა.

— რამდენიმე მუშაობს, ერთი-ორი გათხოვდა... — სიამაყით ჩამოთვალა ცენტრის დირექტორმა.

ქუჩის ბავშვების 99 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. აი, ანგარიში კი იციან, მათხოვრობის დროს ხომ ხურდა ფულის თვლა უწევთ. 19 წლის გრიზელდას აზრით, მისთვის სწავლა გვიანიცაა და — არც ისე საჭირო. მთავარია, რუსულად და ქართულად საუბრობს.

— მოზარდების ინტელექტუალური დონე საგანგაშოა, — ამბობს სარეაბილიტაციო ცენტრის კორექციის პედაგოგი ნატო გელოვანი, — თვითონ განსაჯეთ, 15-16 წლის მოზარდი მოუყვანიათ და წელიწადის დროები ან კვირის დღეები არ სცოდნია.

„ბელურებში" აღსაზრდელების განათლების პრობლემა რვა წლის წინათ მოგვარდა. ბავშვებს თბილისის 44-ე და ლოგოპედური სკოლები მასპინძლობენ. აქ მოზარდი ადვილად იხსნის არასრულფასოვნების კომპლექსს, მას ხომ მოსწავლის მოქალაქეობრივი როლი ეკისრება.

ქუჩის ბავშვებში მძიმე სენივით მოდებულ დაბალ თვითშეფასებას საზოგადოების გულცივობა კიდევ უფრო ამძაფრებს. თანადგომის ნაცვლად იმავე ადამიანების მსხვერპლი გასაკიცხ ობიექტად იქცევა. შედეგს ყველა ხედავს, მიზეზით უკვე არავინ ინტერესდება.

— საფუძველი დასაქმების პრობლემაა, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ხალხს ოჯახის რჩენის პირობები, დანარჩენი თავისით მოგვარდება, — მოსაზრება გამოთქვა ნანა რობაქიძემ.

ამ ცენტრისადმი მთავრობის ყურადღება თითოეული ბავშვის კვებისთვის ორი ლარის გამოყოფაა, ისიც შეფერხებებით მიეწოდება „ბელურებს". წლეულს გაუმართლათ, გრანტის სახით ამერიკული ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები" აფინანსებს. მერე კი?..

სანამ სახელმწიფო საზოგადოებას ქუჩის ბავშვებთან ჩატეხილი ხიდის აღდგენაში დაეხმარებოდეს, პირველი ნაბიჯი მოზარდის გაბზარული გულის გამთელებაა, რაც თუ მოვინდომებთ, არც ისე ძნელი ყოფილა:

— სიყალბეს ბავშვები ადვილად ამჩნევენ. გულახდილი უნდა იყო. გულწრფელად აგრძნობინო, რომ გიყვარს. გიყვარს ისეთი, როგორიც არის, მთელი თავისი ნაკლოვანებებით. საერთო ენა გამოძებნო, ნუ გამოხატავ მისი შეცვლის სურვილს! — ბავშვის ნდობის მოპოვების საიდუმლო გაგვანდო ცენტრის ფსიქოლოგმა.

ქუჩის ბავშვების ძირითადი ნაწილი თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოყვარეა. ასეთი მოზარდი არც ცენტრში ჩერდება, არც სახლში... მუდმივ მოძრაობაშია — მიდის და ისევ ბრუნდება ორსართულიან, ამორტიზებულ, თუმცა სუფთად მოწყობილ „ბინაში". აქ ფიქრობენ, ოცნებობენ... მათი სურვილების გაგებით თუ დაინტერესდებით, ფსიქოლოგის ოთახში კედელზე გაკრულ ოქროს თევზს მიაკითხეთ. მოზარდები სწორედ მას სთხოვენ სანუკვარი ოცნებებისა და სურვილების შესრულებას.

**სოფო გელიტაშვილი,**
**აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის III კურსი.**

**გვწერენ**

# მადლიერი „ბელურები" „ცისარტყელა" და „ჯეჯილი"

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" სახელით მსურს ულრმესი მადლობა გადავუხადო ღვინის კომპანია „შემის" დირექტორს ჯუმბერ ბატიაშვილსა და ICT International-ის წარმომადგენლობის დირექტორს გია ავალიშვილს, ამ კომპანიების სხვა ხელმძღვანელებსა და შრომით კოლექტივს იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომელიც მათი ქუჩისა და რისკის კატეგორიის ბავშვების პრობლემების მოგვარების საქმეში გაგვიწიეს.

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო" ამ რთული სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად 1995 წლიდან მუშაობს. ამჟამად ჩვენი ორგანიზაციის მეშვეობით თბილისში მოქმედებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი ქუჩის ბავშვებისათვის „ბელურები" (50 ბავშვზე) და დღის ცენტრი მომუშავე ბავშვებისათვის „ცისარტყელა" (50 ბავშვზე), მობილური სამსახურები ლილოს დასახლებაში (30 ბავშვზე) და რუსთავში (30 ბავშვზე), ასევე ახალგაზრდული ცენტრი „ჯეჯილი" რისკის ჯგუფის ბავშვებისათვის ჭიათურაში (150 ბავშვზე).

ბავშვები არა მხოლოდ პირველად დახარებას იღებენ, არამედ მონაწილეობენ მრავალ საგანმანათლებლო, კულტურულ-შემეცნებით და სპორტულ-გასართობ პროგრამებსა თუ ღონისძიებებში. წლეულს, 1 ივნისს, ვაკის პარკში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ზეიმში, ჩვენი აღსაზრდელები უაღრესად წარმატებულად გამოვიდნენ. ცხადია, ასეთი მოცულობის საქმიანობის განხორციელება სოლიდურ დაფინანსებას საჭიროებს, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქველმოქმედი ადამიანები. ჩვენ დიდად ვაფასებთ ხსენებულ კომპანიებთან თანამშრომლობას, რომელსაც საფუძველი 2002 წელს ჩაეყარა და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

კიდევ ერთხელ, მადლობა მათ!

**ნანა იაშვილი,**
**ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" პრეზიდენტი.**

**კონფლიქტის ზონა**

## კოკოითის ხელისუფლება ყველას არ ეხმარება



**„სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შარშანდელი ზაფხულის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ ქალაქ ცხინვალისთვის და სხვა დასახლებული პუნქტებისთვის შეიარაღებული შეტაკებების შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ დამატებითი სია გამოაქვეყნა. კომისიის თავმჯდომარის ინალ მამიევის თქმით, დამატებითი სიის შედგენა იმან განაპირობა, რომ მთავრობის მიერ გამოყოფილი დახმარება ყველა დაზარალებულს არ შეხვდა.**

**„ზოგიერთმა ოჯახმა, რომელთა სახლებიც შარშან დაიცხრილა, საშენი მასალა ვერ მიიღო. სწორედ მათი სახლები შევიტანეთ დამატებით სიაში", — აცხადებს ინალ მამიევი.**

**ჰუმანიტარული დახმარება ითვალისწინებს მოსახლეობისთვის შიფერის, ცემენტისა და მინების დარიგებას.**

**სეპარატისტული მთავრობის სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, ცხინვალის ადმინისტრაციამ აღნიშნული დახმარება სოფლების — დმენისის, კოხატის, დამპალეთის, ქუსრეთის, მონასტრის მოსახლეობას გამოუყო.**

**მედიანიუსი**

**ბავშვები**

# ობლის კვერი კი ჯერ ისევ ცხვება

ყოველ დილას სახლის ფანჯრიდან ხელიხელჩაკიდებულ ორ გოგონას ვხედავ, რომლებიც იქვე ჩამწკრივებულ ჯიხურებს შემოუვლიან, ცარიელ ბოთლებს შეაგროვებენ, ცელოფანში ჩაყრიან და ხიდის კიბეებზე სულმოუთქმელად აირბენენ. ვხედები, რომ „მონაპოვარს" ხიდის მეორე მხარეს მდებარე ლიმონათის საამქროს აბარებენ და ამით პურის ფულს შოულობენ.

დღეს ასე უამრავი გაჭირვებული ბავშვი იქცევა. ამიტომ ეს შემთხვევაც ჩემთვის თვალში მოსახვედრი არ გახდებოდა, ერთ დილას მათ და ჯიხურის გამყიდველს შორის საუბარს რომ არ შევსწრებოდი, — დეიდა, დილას ბოთლები ვერ შევაგროვეთ, ბებიასაც მზესუმზირა ჯერ არ გაუყიდია... ფულით, რაც გვქონდა, კარტოფილი და მწვანილი ვიყიდეთ, გთხოვთ პური ნისიად მოგვეცი და ოცდაათ თეთრს საღამოს ჩამოგიტანთო. — მივხვდი, ასაკის მიუხედავად, ისინი ძალიან დამოუკიდებლები უნდა ყოფილიყვნენ.

უფროსს ანა ჰქვია და ათი წლის არის, უმცროსს კი ნინა და რვის, ისინი გლდანის მეორე მიკრორაიონში ცხოვრობენ. როგორც გამყიდველმა მითხრა, დედ-მამა ექვსი-შვიდი წლის წინათ გარდაეცვალათ და ახლა ობლებს ბებია ზრდის, რომელიც იქვე, ავტობუსის გაჩერებასთან, მზესუმზირას ყიდის.

გამახსენდა, რამდენიმე თვის წინათ ამ მოხუც ქალბატონს, როგორ ეჩხუბებოდნენ „პატრულის" თანამშრომლები, — აქ ვაჭრობა არ შეიძლება და სხვაგან გადადიო. მას იქვე მდგომი მეზობლები უმალ გამოექომაგნენ: — თქვენ რომ მისი ოჯახის მდგომარეობა იცოდეთ, ვაჭრობას კი არ დაუშლიდით, მის ობლებს თვითონ დაეხმარებოდითო.

ბოლოს დარცხვენილი წესრიგის დამცველები მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ახლა უკვე მივხვდი, ვინ იყო ის ორი ობოლი გოგონა, რომლებსაც ბებია ასე გაჭირვებით ზრდიდა და რომელთაც მთელი უბანი იცნობდა, ეცოდებოდათ და, ვის როგორც შეეძლო, ექომაგებოდნენ. ასე გრძელდება უკვე რამდენიმე წელია.

— ნეტავ იცოდეთ, რა ყოჩაღები არიან, — მეუბნება ჯიხურის გამყიდველი, — საჭმელსაც აკეთებენ, სარეცხსაც რეცხავენ და სახლსაც ასუფთავებენ. ბაზარში საყიდლებზეც თვითონ დადიან და ფულს ისე ყაირათიანად ხარჯავენ, ბევრი ზრდასრულიც ვერ მოახერხებს. აბა, მაგათ ბებიას სად სცალია, დილიდან საღამომდე ქუჩაში ზის, რომ ერთი-ორი კაპიკი იშოვოს. ფაქტობრივად ოჯახის დიასახლისები ეგ ბავშვები არიან...

მოვდიოდი და გზაში სულ ამ ბავშვებზე მეფიქრებოდა. მათ ახ-



ლა რამდენი რამ აკლიათ. ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად, არც დედ-მამის სითბო და ალერსი იციან. მთელი დღის გარჯისგან დაღლილებს, ალბათ ძილის წინ ოცნების თავიც აღარ აქვთ და ტკბილი, ბავშვური სიზმრების ნაცვლად კოშმარები ესიზმრებათ...

ასეთი უამრავი გაჭირვებული ბავშვია დღეს საქართველოში, ყველა მათგანს კი განსხვავებული და საინტერესო ისტორია აქვს. არავინ იცის, როგორი იქნება თითოეული ამ ისტორიის დასასრული, რაშიც მთავარი როლი მაინც საზოგადოებას და ხელისუფლებას ეკისრება. საზოგადოებას, რომელიც, სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხშირად გულგრილობას იჩენს, ხელისუფლებას კი ჯერ მათი სოციალური უზრუნველყოფისთვის არ სცალია.

ასე რომ, ობლის კვერი ჯერ ისევ ცხვება...

**ლელა მანაგლიშვილი**

**ინფორმაცია**

## რუსები ვერ გადიან თუ არ გადიან?

**ახალქალაქის რუსული ბაზის ჯავშანტექნიკა საქართველოდან საკუთარი სვლით ან ტრაილერებით ვერ გავა. ამის შესახებ გუშინ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ ვლადიმერ ყუფარაძემ განაცხადა. მისი თქმით, ახალქალაქიდან ახალციხის რკინიგზის სადგურამდე არსებული ხუთი ხიდი ჯავშანტექნიკის გასატარებლად უვარგისია, ამიტომ, „რკინიგზით ბათუმამდე მისი შემდგომი ტრანსპორტირება შეუძლებელია და ჩვენ ამის შესახებ ქართულ მხარეს ვაცნობებთ", — აღნიშნა ყუფარაძემ.**

**საქართველოს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 30 მაისს მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გატანა 2008 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის სერგეი ლავროვის თქმით, ჯარების გაყვანა ეტაპობრივად განხორციელდება — ჯერ მძიმე ტექნიკა და პირადი შემადგენლობა გავა, შემდეგ კი რუსული სამხედრო ობიექტები საქართველოს გადაეცემა.**

**თუმცა, მოგვიანებით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის წევრმა გენადი გუდკოვმა განაცხადა, რუსეთი 2008 წლის ბოლომდე ჯარებისა და ტექნიკის მთლიანად გაყვანას ვერ შეძლებს.**

**მისი თქმით, ბათუმიდან მხოლოდ მძიმე ტექნიკის გაყვანას, ამასთან დიდი სადესანტო ხომალდებით — 3,5-4 წელი დასჭირდება. რაც შეეხება ახალქალაქის სამხედრო ბაზას, გუდკოვის აზრით, მძიმე ტექნიკა შავ ზღვამდე თავისი სვლით ვერ მივა. „16-დან მხოლოდ 5-6 ხიდი გაუძლებს ტანკების წონას", — განაცხადა გუდკოვმა.**

## გორის პოლიციის უფროსი პატიმრებმა „გააცურეს"

**შს გორის სამმართველოს უფროსს დავით დათაშვილს რამდენიმე დღის წინათ დაუდგენელმა პირებმა დაურეკეს და შს მინისტრის მოადგილის ლევან გვაზავას მობილურ ტელეფონზე 130 ლარის გადარიცხვა სთხოვეს. დაუდგენელმა პირებმა მას ის ტელეფონის ნომერიც აცნობეს, რომელზეც შს სამინისტროს მოთხოვნით თან- [illegible] ჩარიცხა თანხა და მითითებულ ნომერზე გადარეკა. როგორც აღმოჩნდა, მას ციხიდან პატიმარმა დაურეკა და დათაშვილის მიერ გადარიცხული თანხაც სწორედ მის მობილურ ანგარიშზე დაჯდა.**

**დავით დათაშვილი ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. მან „ინტერპრესნიუსის" შეკითხვაზე კომენტარი არ გააკეთა, თუმცა შს გორის სამმართველოში ამაზე დაუფარავად საუბრობენ.**

## მამუკა ახვლედიანი გივი ორდენიძეს შეცვლის

**თბილისის ახალი მერი გიგი უგულავა, თბილისის მთავრობის, საკრებულოსა და მერიის აპარატის უფროსად უახლოეს დღეებში ახალ კანდიდატურას წარადგენს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" მერიაში სარწმუნო წყარომ აცნობა, ამ პოსტს მამუკა ახვლედიანი დაიკავებს. იგი დღემდე კანცელარიაში მუშაობდა, აგვისტოს შუა რიცხვებისათვის კი ამ პოსტს ოფიციალურად დაიკავებს.**

**თბილისის მთავრობის, საკრებულოსა და მერიის აპარატის უფროსის თანამდებობას დღემდე გივი ორდენიძე იკავებდა. მას გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დაწერილი აქვს, თუმცა იგი ამჟამად შვებულებაში იმყოფება და 13 აგვისტოს ბრუნდება.**

**ინტერპრესნიუსი**

## წყნეთში დევნილებისთვის სპორტულ კომპლექსს აშენებენ

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო წყნეთში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისთვის სპორტულ კომპლექსს აშენებს. წყნეთში დაახლოებით 4000 დევნილი ცხოვრობს. ღია სპორტული მოედანი და სპორტდარბაზი ყოფილი კულტურის სახლის ადგილას აშენდება. სამშენებლო სამუშაოები თვენახევრის წინათ დაიწყო და აგვისტოს პირველ რიცხვებში დასრულდება. მშენებლობას არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო აფინანსებს.**

**„წყნეთის სპორტული კომპლექსი იქნება დევნილი ბავშვებისთვის საუკეთესო გასართობი და გამაჯანსაღებელი ადგილი. მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, სამშენებლო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ თავად დევნილებიც. კომპლექსი 5 ან 6 აგვისტოს გაიხსნება, — განუცხადა „მედიანიუსს" ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა სოციალური საკითხების დეპარტამენტის რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსმა ანზორ კეკელიძემ.**

## რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი არ ჩერდება

**„სახალხო ფორუმის" საინიციატივო ჯგუფი მერებისა და გამგებლების არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოთხოვნის შეტანას ხელმეორედ აპირებს.**

**„ჩვენ ერთხელ უკვე გვითხრა ცესკომ უარი, როდესაც მოსახლეობისადმი შეკითხვის ფორმულირება დაგვიწუნა. ამჯერად ხელმეორედ შევიტანთ მოთხოვნას და ცესკოს საკამათოდ არაფერს დავუტოვებთ", — განუცხადა „მედიანიუსს" საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ირაკლი მელაშვილმა. ამჟამად სარეფერენდუმო შეკითხვა ასეთი იქნება: ხართ თუ არა თანახმა, რომ საქართველოს ქალაქის მერები აირჩიოს ამ ქალაქის მცხოვრებლებმა.**

**მედიანიუსი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთში რუსული ბანკების შემოსავლების „გათეთრება“ ხდება

(მეორე გვერდიდან)

**— ნებისმიერ დარგში, მათ შორის, საბანკოშიც, არსებობს საშიში და საგარეო პრობლემები. რას მიაკუთვნებდით საშიშად პრობლემებს?**

— უნდა ვთქვა, რომ კვლავ ძალზე მაღალია საპროცენტო განაკვეთი, და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ბანკების კაპიტალი, თითქმის ერთიორად გაიზარდა. კარგია, რომ ახლა გამოჩნდნენ თანასწორი მოთამაშეები და კონკურენციაც ძლიერდება.

**— როგორ არის წარმოდგენილი საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემა?**

— იმედი გვაქვს, რომ ანაბრების დაზღვევის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ეს კი მიმდინარე წლის დამლევისთვის მოხდება, კიდევ უფრო განმტკიცდება ნდობა საბანკო სისტემისადმი, რაც ანაბრების ზრდასაც შეუწყობს ხელს. დასავლელი ექსპერტები 3,5 მილიონი დოლარის ოდენობის ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას ახორციელებენ. ასე რომ, ჩემი აზრით, ყოველივე ამას შევძლებთ.

**— როგორ ებრძვით საბანკო სფეროში დანაშაულებრივი და არალეგალური შემოსავლების „გათეთრებას“?**

— ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებობს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელშიც მუშაობენ არა მარტო ქართველი, არამედ დასავლელი ექსპერტები, მათ შორის, ამერიკელებიც. სამსახური საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს. მაგრამ, სადღეისოდ, ჩვენი ძირითადი პრობლემაა ის, რომ რუსეთის ბანკები ახორციელებენ ფულის „გათეთრებას“ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის მეშვეობით. ჩვენ გვაქვს ასპროცენტიანი ინფორმაცია და იმის მტკიცებულება, რომ რუსული ბანკები ეწევიან არალეგალურ ბიზნესს აფხაზეთში, აფხაზურ კომერციულ ბანკებს აქვთ საკორესპონდენტო ურთიერთობა რუსულ ბანკებთან; და ასეთი გზით გადაიგზავნება არალეგალური შემოსავლების უზარმაზარი თანხები. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ რუსეთის ცენტრალურ ბანკს თავმჯდომარეს, აგრეთვე, ფინანსური მონიტორინგის სააგენტოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, რომ რუსეთის მხარემ რაღაც იღონა ამ თვალსაზრისით. მალე ჩვენ შევიტანთ საჩივარს FATF-ში — ეს არის ქვეყნების ჯგუფი, რომელიც მუშაობს ფულის „გათეთრების“ აღკვეთისთვის, აგრეთვე, ევროკავშირის კომიტეტში, რომელიც იდენტურ ფუნქციებს ასრულებს. ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის ეს ძალზე სასიამოვნო არ იქნება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყანამ სულ ცოტა ხნის წინათ დააღწია თავი FATF-ის შავ სიას.

ამ ორგანიზაციამ შეიძლება მიმართოს სხვა სანქციებსაც, უკვე არაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა რეზონანსს გამოიწვევს ეს მთელ მსოფლიოში და როგორ იმიჯს მოუტანს ეს რუსეთის ბანკებს და მასთან ერთად მთელ რუსეთს.

**— თქვენი საბოლოო მიზანია ის, რომ აფხაზეთში საერთოდ არ იყვნენ რუსული ბანკები?**

— აფხაზეთის ბანკები რუსულ ბანკებთან თანამშრომლობენ საბანკო ზედამხედველობის ყველა ნორმის დარღვევით და ახორციელებენ არალეგალური შემოსავლების „გათეთრებას“. ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით იმას, რომ აფხაზეთში მოქმედებდნენ ბანკები, მაგრამ აფხაზებს ვთავაზობთ, რომ მათი საბანკო ოპერაციები საქართველოს მეშვეობით განახორციელონ.

**— თქვენი აზრით, რუსული ბანკების შემოსავლების „გათეთრება“ მაინცდამაინც აფხაზეთში რატომ ხდება?**

— იმიტომ, რომ აფხაზეთში არ არსებობს ბანკების ლიცენზირების, საბანკო ზედამხედველობის ლეგალური ინსტიტუტი, არ ხორციელდება ფულის ნაკადის მონიტორინგი, რაც FATF-ის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. აფხაზეთის რეგიონი ძალზე ხელსაყრელია ყველა უკანონო ოპერაციის განსახორციელებლად, მათ შორის ტერორიზმის დაფინანსებისა და ადამიანებით ვაჭრობისთვისაც. აფხაზეთში შედიან ხომალდები სხვა ქვეყნებიდან და იქედან გამოაქვთ არა მარტო საქონელი, არამედ ადამიანებიც გამოჰყავთ.

**— თქვენ გაქვთ ამის მტკიცებულება?**

— კონტროლსდაუქვემდებარებელი ტერიტორია ხელსაყრელი ადგილია ასეთი ტრანსაქციებისთვის.

**— როგორი ტენდენციები შეინიშნება საქართველოს მონეტარულ და საფინანსო სფეროებში?**

— საქართველოს ეროვნული ვალუტა სადღეისოდ აბსოლუტურად სტაბილურია, მონეტარული პოლიტიკა დაბალანსებულია, მიმდინარეობს დადებითი პროცესები ფისკალურ სფეროშიც. ორი წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი ერთიორად გაიზარდა. ეს არის უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც შეიძლება შევიტანოთ გინესის რეკორდების წიგნში. ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ბიუჯეტი ასეთ მოკლე ვადაში ერთიორად გაზრდილიყო, და არა ნომინალური, არამედ რეალური გამოხატულებით სტაბილური ეროვნული ვალუტისა და დაბალი ინფლაციის პირობებში. რაც შეეხება საფინანსო სფეროს, გადასახადები საქართველოში ყველაზე დაბალია არა მარტო ევრაზიის რეგიონის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი შეადგენს მხოლოდ 12 პროცენტს, სოციალური გადასახადი — 20 პროცენტს, მოგების გადასახადი — 20 პროცენტს, დამატებითი ღირებულების გადასახადი — 18 პროცენტს.

**— კერძო ტრანსფერტების მოცულობა 22 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ შეინიშნება ასეთი ტენდენცია: საქართველოში გადაირიცხება გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე — საქართველოდან, ამასთან, ამ თანხების ძირითადი ნაკადი მოედინება რუსეთიდან. რას უკავშირებთ ამ ფაქტს?**

— საქართველოდან მრავალი ადამიანი გაემგზავრა სამუშაოდ რუსეთში. რუსეთიდან სწრაფი გზავნილების, მაგალითად, „ვესტერნ იუნიონის“ მეშვეობით, საქართველოში ყოველწლიურად ირიცხება 100 მილიონი დოლარი, საქართველოდან კი დაახლოებით 40 მილიონი გააქვთ. მნიშვნელოვანი თანხები შემოდის ასევე სხვა ქვეყნებიდან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყოველწლიურად გზავნიან ნახევარი მილიარდიდან ერთ მილიარდამდე დოლარს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ჩვენი ვალუტის სტაბილურ დონეზე შენარჩუნებას. რუსეთში უყვართ ყველაფრის გაზვიადება, არაერთხელ უთქვამთ, რომ საქართველოში თითქმის მილიარდი დოლარი ირიცხებაო. არა, ეს ასე არ არის. ყველაზე უხეში დაანგარიშებითაც კი ეს თანხა 200 მილიონ დოლარს არ აღემატება. ალბათ, გასაგებია, რომ ადამიანი თავისი შემოსავლების 20-25 პროცენტზე მეტს ვერ გადმორიცხავს, რადგან თვითონაც ხომ უნდა იცხოვროს, იმუშაოს, გადაიხადოს გადასახადები, ბინის ქირა, ეს კი ნიშნავს, რომ ეთნიკური ქართველები რუსეთში ყოველწლიურად იღებენ დაახლოებით მილიარდ დოლარს, მაგრამ ეს მხოლოდ ხელფასების სახით. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხელფასი არის შექმნილი მთლიანი პროდუქტის მხოლოდ მცირე ნაწილი — დაახლოებით მეოთხედი, გამოდის, რომ ქართველები რუსეთში 4-ჯერ მეტს ქმნიან, ვიდრე იღებენ — სავარაუდოდ, 4,5 მილიარდ დოლარს. ეს კი უკვე უდიდესი სიმდიდრეა. ჰოდა, საკითხავია, თუ ვინ ვის უნდა უსაყვედუროს.

**საინფორმაციო სააგენტო რეგნუმ.**
**25 ივლისი.**

# მორიგი აფეთქება ბაღდადში



**ორი ამფეთქებელი-კამიკაძე თავს დაესხა პოლიციის ბლოკ-საგუშაგოებს ბაღდადის ცენტრში, რის შედეგადაც დაიღუპა შვიდი ადამიანი.**

ხუთი კაცი დაიღუპა, როცა კამიკაძემ ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა მიკროავტობუსში, სასტუმრო „სადირის“ მახლობლად. სწორედ ეს სასტუმრო იყო ამ ცოტა ხნის წინათ ასევე ერთ-ერთი თავდასხმის ობიექტი, რადგან მაშინ მასში ცხოვრობდნენ მოიჯარე ამერიკელები.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ მეორე კამიკაძემ აქცია განახორციელა ერაყის დედაქალაქის სამთავრობო და დიპლომატიური კვარტალის შესასვლელთან. დაიღუპა ორი პოლიციელი.

კვირას სულ ცოტა 25 კაცი დაიღუპა ერაყის დედაქალაქში, პოლიციის უბანთან დანაღმული სატვირთო ავტომანქანის აფეთქების შედეგად. გარდა ამისა, დაიჭრა 30-ზე მეტი ადამიანი.

დაღუპულთა შორის არიან პოლიციელებიც, მაგრამ ძირითადად აფეთქებას სამოქალაქო პირები ემსხვერპლნენ. აფეთქებები ერაყის დედაქალაქის ყოველდღიური რეალობა ხდება. ამბოხებულთა სამიზნეები უმეტესწილად პოლიციის უბნებია, რადგან ისინი იქ მომუშავე ერაყელ პოლიციელებს მიიჩნევენ საოკუპაციო ძალების დამქაშებად. კვირას ერაყის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ აქვს ქვეყანაში უშიშროების უზრუნველყოფის ახალი გეგმა, თუმცა, არანაირი დეტალები არ გაუმხელია.

# ეგვიპტეში მომხდარი ტერორისტული აქტებისთვის პასუხისმგებლობა უკვე მესამე დაჯგუფებამ იკისრა



**ამჯერად, ტერაქტების „ავტორობას“ იჩემებს „ეგვიპტის მოჯაჰედების“ ორგანიზაცია, რომელმაც გაავრცელა წერილი ერთ-ერთ ისლამისტურ საიტზე.**

როგორც წერილშია ხაზგასმული, აფეთქებები განახორციელა ხუთმა ტერორისტმა.

მათი ვერსიის თანახმად, ერთ-ერთი ტერორისტი მართავდა „ადგილობრივ ტაქსს“, სამი სხვა — „საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ტაქსებს“, და კიდევ ერთი — მიკროავტობუსს. „მთელი მსოფლიოს გასაგონად ვაცხადებთ, რომ „ეგვიპტის მოჯაჰედების“ ორგანიზაციის წევრმა ხუთმა ადამიანმა ხუთი დანაღმული ავტომობილი გამოიყენა ჩვენს ქვეყანაში სიონისტთა ციტადელის დასანგრევად“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

ეს ვერსია ეწინააღმდეგება ეგვიპტის პოლიციის ოფიციალურ მონაცემებს, რომლის თანახმადაც საკურორტო ქალაქ შარმ ეშ-შეიჰში აფეთქდა სამი ბომბი: ორი მათგანი დადებული იყო ავტომობილში, ერთი კი — ქუჩაში დატოვებულ ჩანთაში.

„სინაის წამებულთა ბრიგადის“ სახელით მოქმედი დაჯგუფების წევრებმა წინათ უკვე იკისრეს პასუხისმგებლობა ამ აფეთქებებისთვის. პირველებმა კი ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთეს „სირიასა და ეგვიპტეში შაჰიდ აბდალა აზამის ბრიგადების“ წევრებმა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ტერორისტული აქტი გამიზნული იყო „ებრაელების და ქრისტიანების“ წინააღმდეგ, რომლებსაც უყენებენ ულტიმატუმს — 60 დღის განმავლობაში დატოვონ ეგვიპტის ტერიტორია. „ჩვენ ვუცხადებთ ებრაელებს და ქრისტიანებს, რომ მათ აქვს 60 დღე ეგვიპტიდან ასაბარგებლად“, იმუქრებიან წერილის ავტორები.

„მოჯაჰედები“ ამტკიცებენ, რომ ყველა წინა კომუნიკე ყალბია. ისინი ასევე სიცრუეს უწოდებენ იმავე საიტზე წინათ გამოქვეყნებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც შარმ ეშ-შეიჰში მომხდარი ტერორისტული აქტების გამო პასუხისმგებლობას კისრულობდა მეორე ისლამისტური დაჯგუფება, რომელიც იმასაც ამტკიცებდა, რომ დაკავშირებული იყო „ალ-ყაიდას“ ტერორისტულ ქსელთან.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი ეს განცხადება არ გამოქვეყნებულა იმ საიტებზე, რომლებზეც ჩვეულებრივ განათავსებს ხოლმე ინფორმაციებს „ალ-ყაიდა“.

# ლონდონის პოლიციამ მესამე ეჭვმიტანილი დააკავა

**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში პოლიციელებმა დააკავეს 21 ივლისის ტერაქტის განხორციელების მცდელობაში ეჭვმიტანილი მესამე პირი.**

სკოტლენდ-იარდმა დაადასტურა, რომ ეს ადამიანი დააპატიმრეს ლონდონის სამხრეთ ნაწილში. ეჭვმიტანილი დაკითხეს ლონდონის პოლიციის ცენტრალურ განყოფილებაში.

როგორც ცნობილია, მანამდე აფეთქებების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი კიდევ ორი ადამიანი დააკავეს, რომლებიც ამჟამად ასევე პოლიციის უბანში იმყოფებიან.

პარასკევს პოლიციამ გაავრცელა 21 ივლისის ტერორისტული აქტების განხორციელებაში ეჭვმიტანილი ოთხი ადამიანის ფოტოები.

როგორც ცნობილია, გასულ ხუთშაბათს ლონდონში მოხდა ახალი აფეთქებები: სამი მეტროში და ერთი — მგზავრებიან ავტობუსში. ამ აფეთქებების შედეგად დაშავდა ერთი ადამიანი.



◉ სტატისტიკა

# ინერგება თანამედროვე სტანდარტები

**25 ივლისს, სტატისტიკის დღესთან დაკავშირებით, სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაზა ბროლაძე გაეროს განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად ქუთაისში გაემგზავრა, სადაც შეხვდა იმერეთის მხარის ხელმძღვანელობას და ადგილობრივ სტატისტიკოსებს. მოეწყო პილოტური პროექტის „მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემთა ბაზების რაიონულ და რეგიონულ დონეზე ფორმირების“ პრეზენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური სტატისტიკური სამსახურების მუშაობის თვისობრივ გაუმჯობესებას.**

პილოტური პროექტის მიხედვით რეგონებში სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების ფორმირება და დამუშავება მოხდება ადგილებზე დამონტაჟებული კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით და შემდგომ ქსელის მეშვეობით გადაიგზავნება სტატისტიკის ცენტრალურ ოფისში.

ამ ეტაპზე პროექტის ტესტირება მოხდება იმერეთის რეგიონში, ხოლო სამომავლოდ იგეგმება ერთიანი ქსელის შექმნა საქართველოს მასშტაბით.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სტატისტიკის სისტემის რეფორმირებისა და სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხობრივად გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ფუნქციებისა და რესურსების ოპტიმალურად გამიჯვნა ცენტრალურ და ადგილობრივ სტატისტიკურ ოფისებს შორის. ამჟამად ადგილობრივი ოფისების პერსონალი ძირითადად დაკავებულია მხოლოდ მონაცემთა შეგროვებით და გადმოგზავნით, ხოლო მონაცემთა რედაქტირება, დამუშავება და ბაზების ფორმირება ადგილობრივ დონეზე არ ხდება. ხშირად ადგილობრივი ოფისები არ ფლობენ საკუთარი რეგიონების შესახებ ინფორმაციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ოფისიდან გამოითხოვენ მას.

ამდენად, არსებითია აღნიშნული განსხვავების შემცირება და პერიფერიებში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა.

**ლალი ქინქლაძე**

◉ ესლა აკლდა?

# უკრაინის პრეზიდენტს კინაღამ მეხი დაეცა



**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ქვეყანა გაახარა ახალი წინადადებების მთელი ფეიერვერკით. ერთმა ასეთმა წინადადებამ, რომელიც სახელმწიფო ავტოინსპექციის გაუქმებას გულისხმობს, არა მარტო უკრაინელების მოწონება, არამედ მათი მეზობელი რუსების შურიც კი დაიმსახურა. პრეზიდენტის დანარჩენი ორი წინადადება ნაკლებად ექსტრავაგანტული აღმოჩნდა. კერძოდ, იუშჩენკომ უბრძანა თანამდებობებიდან გაეთავისუფლებინათ შსს-ს ყველა თანამშრომელი, რომლებიც წინანდელი რეჟიმის დროს მსახურობდნენ. ეს კი სულ ცოტა 100 ათასი კაცი მაინც იქნება. ხოლო იმან, რომ პრეზიდენტმა მოითხოვა უკრაინაში ახალი წლისთვის ყველა დანაშაულებრივი დაჯგუფების განადგურება და ყველა ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდის დაჭერა, მრავალ ადამიანს ბაგეზე ღიმილი მოჰგვარა... თუმცა, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, პრეზიდენტის ასეთი აქტიურობა უნდა უკავშირდებოდეს მის მიერ გადატანილ სტრესს.**

უკრაინულ პრესას უმალავენ, რომ გოვერლის მთაზე ყოფნისას (იქ იუშჩენკომ მოაწყო მასობრივი მსვლელობა უკრაინის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად) გავარდა მეხი, რომელიც დაეცა არა მარტო უცნობ მოქალაქეს, არამედ თვით პრეზიდენტიც ძლივს გადაურჩა მას. ყოველ შემთხვევაში, მეხი იუშჩენკოსგან სულ რამდენიმე მეტრზე ჩამოვარდა.

თავდაპირველად ზოგს ეგონა, რომ ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი, თუმცა, მალე გაერკვნენ იმაში, რაც სინამდვილეში მოხდა. მეხდაცემული ადამიანი — იუშჩენკოს დაცვის ოფიცერი ვერტმფრენით გაგზავნეს საავადმყოფოში.

# მიწისძვრა ინდოეთის ნაპირებთან

**ბენგალიის ყურეში მდებარე ნიკობარის კუნძულებთან კვირას მოხდა მძლავრი მიწისძვრა.**

ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, მიწისქვეშა ბიძგების ძალამ დაახლოებით 7 ბალი შეადგინა რიხტერის შკალით. მიწისძვრის ეპიცენტრი 135 კუნძულისგან შემდგარი არქიპელაგის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ბიძგები იგრძნობოდა ინდოეთის სამხრეთ სანაპიროზე და ტაილანდის პჰუკეტის კუნძულზე.

ჯერჯერობით ინფორმაცია ნგრევის და მსხვერპლის შესახებ არ გავრცელებულა.

ინდოეთის კუთვნილი ანდამანის და ნიკობარის კუნძულები დააზარალა გასული წლის დეკემბერში ამ მიდამოებში მომხდარმა ცუნამიმ. მაშინ სტიქიურ უბედურებას ემსხვერპლა დაახლოებით 200 ათასი კაცი ინდოეთის ოკეანის 13 სახელმწიფოში, ნიკობარის და ანდამანის კუნძულებზე დაიღუპა დაახლოებით 10 ათასი ადამიანი.

# კარაჯიჩს და მლადიჩს უკვე 10 წელია ეძებენ

**უკვე 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰააგის ტრიბუნალმა ბრალდებები წაუყენა ბოსნიელ სერბთა ყოფილ ლიდერებს რადოვან კარაჯიჩს და რადკო მლადიჩს.**

ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მეთაური არიან ძირითადი ეჭვმიტანილები ბოსნიელი მუსლიმანების მასობრივი მკვლელობის შესახებ საქმეში, მათ შორის, ქალაქ სრებრენიცში მომხდარ ტრაგედიაშიც.

იმ დიდი საერთაშორისო ზემოქმედების მიუხედავად, რომელსაც განიცდის სერბეთი, კარაჯიჩი და მლადიჩი ჯერჯერობით არ დაუპატიმრებიათ. ამ ორი ადამიანის შესახებ სარწმუნო ინფორმაციისთვის შეერთებულმა შტატებმა დააწესა ჯილდო 5 მილიონი დოლარის ოდენობით.



ჰააგის ტრიბუნალის პროკურორებს ეჭვი აქვთ, რომ ბოსნიელ სერბთა ყოფილი ლიდერები თავს აფარებდნენ სერბეთის და ჩერნოგორიის ტერიტორიას და ისინი სარგებლობენ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით. თუმცა, ოფიციალური ბელგრადი უარყოფს ყოველივე ამას.

ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო დანაშაულობათა საქმის მიხედვით მესამე მთავარი ეჭვმიტანილია ყოფილი ხორვატი გენერალი ანტე გოტოვინა, რომელიც ასევე ემალება მართლმსაჯულებას.

ჰააგის ტრიბუნალი თავისი მუშაობის დასრულებას 2010 წლისთვის აპირებდა. მაგრამ გაერთიანებული ერების მისამართით გაგზავნილ მოხსენებაში ტრიბუნალის მეთაური თეოდორ მერონი აღნიშნავდა, რომ ამ ორგანოს აქვს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მისია და მანამ, სანამ სამივე ეჭვმიტანილი არ წარსდგება სასამართლოს წინაშე, მისი საქმიანობის შეწყვეტა დაუშვებელია.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

### მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/203**

**მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE**

### ქ. ქუთაისში ავტომშენებლის და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით.

ა) **ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 54467 $მ^2$. მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 300 გრძ. მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS/203/01).

ბ. **ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების** სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 33332 $მ^2$. მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 270 გრძ. მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS/203/02).

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ კონტრაქტში.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად. ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: **იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39,** თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 183 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი 220101757

ლარის ანგარიში №3834080001

დოლარის ანგარიში №334180001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება საკურიერო ფოსტით. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 12 სექტემბრის 13 საათისა.** ყველა საკონკურსო **წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 47000 (ორმოცდაშვიდიათას) ლარზე** (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS/203/01-სთვის, **26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე** (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS/203/02-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 12 სექტემბერს 13 საათზე** კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

◎ თარიღი

# საშვილიშვილო ღვაწლად ქცეული წლები

## აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას დაბადების 85 წლისთავის გამო

***სასიამოვნო და რამდენადმე საკვირველიცაა, რომ მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ბატონი ცოტნე მირცხულავა დღესაც მოწოდების სიმაღლეზეა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში. საკვირველია ის მეცნიერული მოღვაწეობის თითქოსდა დაუჯერებელი პროდუქტიულობაც, რომელიც ახასიათებს ბატონ ცოტნეს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ეს არის ქართულ, რუსულ, ინგლისურ და მსოფლიოს სხვა ენებზე პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოცემული 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მრავალი ნორმატიული დოკუმენტი, რომლებიც დღესაც ფართო გამოყენებას პოულობს ჩვენს და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და 25-მდე მონოგრაფია ბუნების დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ნაგებობათა საიმედოობისა და მეცნიერების სხვა მომიჯნავე სფეროებში. ეს წიგნები სამაგიდო სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ ბუნების დამცავი სპეციალისტებისთვის და, რაც საყურადღებოა, ბევრი მათგანი ისეთი მოთხოვნილებით სარგებლობს, რომ ისინი გამოცემისთანავე უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდნენ.***

ბატონი ცოტნე დაიბადა 1920 წლის 25 ივლისს, ქალაქ ფოთში, სადაც გაატარა ბავშვობის წლები და მიიღო პირველი პროფესიული ნათლობა. იმ დროისათვის ცნობილ ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში: შემდგომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმატებით დამთავრება, „საქნავთობის" სისტემაში მუშაობა ათისთავიდან ტრესტის მმართველის მოადგილის თანამდებობამდე, საქართველოს ჰიდროტექიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით (ამჟამად საქჰიდროეკოლოგიის) ინსტიტუტში მოღვაწეობა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს 1969 წლიდან დღემდე.

ცოტნე მირცხულავას ხელმძღვანელობით, საქჰიდროეკოლოგიის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ჩამოყალიბდა როგორც ერთგვარი სამეცნიერო ცენტი, რომელიც საკოორდინაციო საქმიანობას ახორციელებდა ეროზიული და ღვარცოფული მოვლენების, კალაპოტური პროცესების და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობის კვლევის დარგში. აკად. ც. მირცხულავას საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის 70-80-ან წლებში იგი ჰიდრავლიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის და ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ორგანიზებული კონგრესების უცვლელი და აქტიური მონაწილეა; იგი არა მარტო რიგითი მომხსენებლის ან გენერალური მომხსენებლის, არამედ კონგრესების ხელმძღვანელის როლშიაც გვევლინება. ამ და სხვა ანალოგიური დანიშნულების საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით იგი მიწვეული იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ხოლო 1967 და 1978 წლებში პოლონეთში ჰიდროტექნიკის დარგში აქტუალურ საკითხებზე ლექციების წასაკითხად. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სექციას, მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის საპრობლემო საბჭოს, კოლხეთის დაშრობისა და ათვისების საუწყებათაშორისო საბჭოს. ამასთანავე, იგი არაერთი საუწყებო სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრია.

1973 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ცოტნე მირცხულავა ნიუ-იორკში მიიწვია ექსპერტად წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებასთან დაკავშირებით. მის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ იგი სარედაქციო კოლეგიის წევრია ჰიდრავლიკური კვლევის დარგში არსებული საერთაშორისო ჟურნალისა, რომელიც გამოდის ნიდერლანდებში.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს ათეული წლების მანძილზე მრავალი სპეციალისტი და მეცნიერი აღუზრდია. 1952 წლიდან იგი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში), სადაც უძღვება სპეციალურ დისციპლინებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 40 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. მრავალი სტუდენტი და მაძიებელი დააყენა მეცნიერების დიდ გზაზე.

ბოლო წლებში ბატონი ცოტნე სათავეში ჩაუდგა, ააღორძინა და თანამებრძოლებთან ერთად ღირსეულად უძღვება ქართველი ერის პირველ და უძველეს სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებას — ფაზისის აკადემიას. აკადემიამ უკვე მოიპოვა პატივისცემა და ავტორიტეტი ქართულ საზოგადოებაში. ამავდროულად, როგორც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, იგი არჩეულია იუნესკოს საქართველოს ორგანიზაციის „ადამიანი და ბიოსფეროს" ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტად, რასაც სულ მალე დაატყო თავისი მადლიანი ხელი.

აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას მოღვაწეობა, იქნება იგი შრომითი, სამეცნიერო, საზოგადოებრივი თუ პედაგოგიური, ხასიათდება მოვლენებში ღრმა ჩაწვდომის უნარით, შრომის მაღალი კულტურითა და კრიზისულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მონახვით. ამასთან ერთად იგი ხშირად გვევლინება, როგორც ახალი, პრაქტიკულად რეალიზებადი იდეების ავტორი.

მისი დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის წოდება-მოვალეობები და ჯილდოები, რომლებიც მას სავსებით დამსახურებულად მთელი თავისი აქტიური და შემოქმედებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე აქვს მოპოვებული: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მიწისქვეშა ჰიდრავლიკისა და ნავთობის სპეციალობებით; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის (საქჰიდროეკოლოგიის) ინსტიტუტის დირექტორი; საქჰიდროეკოლოგიის ინსტიტუტში ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელი; წყალდიდობებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სემინარის თავმჯდომარე (1969 წ.); გაეროს ექსპერტი წყალდიდობების საკითხებში; ჰიდრავლიკური კვლევების საერთაშორისო ასოციაციის (МАГИ) პრეზიდიუმის და ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომიტეტის (МКИД) წევრი; ყოფილი საბჭოთა კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ნაგებობების საიმედოობისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე; იუნესკოს „ადამიანი და ბიოსფერო" ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე; ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტთან (ГКНТ) არსებული წყალთა მეურნეობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე; ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის (ВАК) წევრი და ექსპერტი; საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიის (GPIC) ექსპერტი; წყლის რესურსებში საერთაშორისო თანამშრომლობის საკოორდინაციო საინფორმაციო ცენტრის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული წყლის რესურსების კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს წყალდიდობებისგან და წყალმოვარდნებისგან გარემოს დაცვის ეკოცენტრის თავმჯდომარე; სპეციალიზებული საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი; რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „მელიორაცია ი ვოდნოე ხოზიაისტვოს" რედკოლეგიის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის" რედკოლეგიის წევრი; ა. ნ. კოსტიაკოვის სახელობის „ოქროს მედლის" მფლობელი; საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; რიგი სამთავრობო ჯილდოების კავალერი.



ამ გრძელი ჩამონათვალის მიუხედავად მკითხველს არ უნდა ეგონოს, რომ ამ მოვალეობების შესრულებისას ბატონ ცოტნეს თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში და მცირე დროით მაინც ჰქონდა „საქორწინო გენერლის" როლი. იგი ყველა შემთხვევაში გახლდათ ამა თუ იმ ღონისძიებების უშუალო ორგანიზატორი, პროფესიონალი შემსრულებელი და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიმყვანი.

გასაოცარი ის არის, რომ მიუხედავად თავისი ჭარმაგი ასაკისა, მას შენარჩუნებული აქვს შესაშური მეხსიერება, მაღალი შრომისუნარიანობა, გამჭრიახობა, მეცნიერებაში სიახლის მოძიების განსაკუთრებული ჩვევა და ექსტრემალურ სიტუაციაში თვითმობილიზების უნარი.

ბატონი ცოტნე დღესაც თავდადებით და ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება ეროვნული მეცნიერების განვითარებას და მის საერთაშორისო სარბიელზე გატანას. მისი კოლეგები, მრავალრიცხოვანი მოწაფეები, მთელი ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება უსურვებენ სახელოვან იუბილარს დღეგრძელობას და კიდევ უფრო დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

**ოთარ ნათიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.**

**იბეჭდება ავტორის ხარჯით.**

◎ ინფორმაცია

## სულხან მოლაშვილი კვლავ პატიმრობაში რჩება

**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება. გუშინ საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლემ მანუჩარ კაპანაძემ არ დააკმაყოფილა დაკავებულის ადვოკატების შუამდგომლობა, რომლებიც პროცესუალური ვადების დარღვევის გამო მოლაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას მოითხოვდნენ.**

**ამ გადაწყვეტილების გამოცხადებას სასამართლო დარბაზში ხმაური მოჰყვა. ადვოკატ შალვა შავგულიძის განცხადებით, მოსამართლემ თავის განჩინებაში დააფიქსირა, რომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა მოლაშვილის სამართალში მიცემის შესახებ და უარი განუცხადა ადვოკატებს თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.**

**„პროკურატურას გამწესრიგებელ სხდომაზე ამგვარი შუამდგომლობა საერთოდ არ დაუყენებია. ფაქტობრივად, გამოდის, მოსამართლემ ბუნებაში არარსებული მოთხოვნა დააკმაყოფილა, რომლის მსგავსი სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა", — განაცხადა შავგულიძემ. მისი თქმით, მოსამართლე მიხვდა, რომ თუ ადვოკატების შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებდა, მაშინ განსასჯელების დამცველებს კიდევ რამდენიმე მოთხოვნა ექნებოდათ და ამიტომ მოსამართლემ სასამართლოს დარბაზი განჩინების გამოცხადებიდან დაუყოვნებლივ დატოვა.**

**როგორც სულხან მოლაშვილმა განაცხადა, თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში დარბაზში მხოლოდ მოსამართლე და ბრალდების მხარე დარჩება. სხდომა რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდა. მოსამართლე მანუჩარ კაპანაძე საქმის არსებით განხილვას 28 ივლისს დაიწყებს.**

**ინტერპრესნიუსი**



## საქართველოდან თურქეთის ორი მოქალაქე გააძევეს

**რეგიონული სამმართველო „ახალციხის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ვალედან", საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სავიზო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე საქართველოდან თურქეთში დეპორტირებული იქნა თურქეთის ორი მოქალაქე.**

**რეგიონული სამმართველო „აჭარის" სასაზღვრო სექტორ „ჩირუხის" მიმდებარე ტერიტორიაზე კი მესაზღვრეებმა საზღვრის დარღვევის ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს.**

## ლეიბორისტები კვლავ ჩივიან

**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ თბილისის საოლქო სასამართლოში პარტიის სახელით შეიტანა სარჩელი, რომლის მიხედვითაც, ლეიბორისტები კოლექტიური ელექტრომრიცხველების დამონტაჟებას ასაჩივრებენ.**

**ლეიბორისტთა განცხადებით, კოლექტიური მრიცხველების დამონტაჟება ლახავს მომხმარებელთა უფლებას, რადგან გაურკვეველი ხდება, თუ რომელმა ოჯახმა რამდენი ელექტროენერგია დახარჯა.**

## სიცხე ყოველი მხრიდან გვიტევს

**საქართველოს ენერგოსისტემაში 24 ივლისს მომხდარი ავარიის მიზეზად ელექტროსადგურების გადახურება სახელდება.**

**„საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა მაისურაძის განცხადებით, ელექტროსადგურები მაღალ ტემპერატურას ვერ უძლებს და შესაბამისად, ითიშება.**

**ავარიის ლიკვიდაცია რამდენიმე საათში მოხერხდა, თუმცა მაღალი ძაბვის ხაზის „ქართლი -2" და „იმერეთის" შემოწმება მეორე დღესაც გაგრძელდა.**

**მედია-ნიუსი**



◎ მეცნიერება

# ღმერთმა ქნას, თუ ეს მოხდა, თავს კარგად გრძნობდეს ორი „ძიძის" ხელში...

## პროდუქტიულობის ათწლეული ერთი ინსტიტუტის მაგალითზე

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში უჩვეულო წარდგინება (მოდური სიტყვით — პრეზენტაცია) მოეწყო: მგონი, პირველი შემთხვევა იყო, როცა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ კვლევით დაწესებულებაში ბოლო ათი წლის განმავლობაში შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია ვიხილეთ. ეს გახლავთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (დირექტორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზაზა ალექსიძე).**

გამოფენა მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა — 4 სავსე სტენდით, რამდენიმე მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე ხელნაწერის მულაჟით, მინიატიურული გამოცემების ასლებით. აქ იყვნენ ხელისუფლების, სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და, რასაკვირველია, ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლები. დასანანია, რომ მასმედიელები „ტრადიციულად" არ მოვიდნენ. ტელევიზია, მაგალითად, ინტელექტუალურ ღონისძიებებს, სადაც „დამწვრის" სუნი არ ტრიალებს, ნაკლებად ან სულაც არ სწყალობს...

**ზაზა ალექსიძემ** თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა თავის კოლექტივს, რომელმაც ამჟამინდელი სიდუხჭირის პირობებში ასე თავგამოდებითა და საქმის ერთგულებით იმუშავა და ასეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია შექმნა.

აკადემიის პრეზიდენტმა **თამაზ გამყრელიძემ** შენიშნა: **ახლა ჩვენთან ინსტიტუტების ატესტაცია მიმდინარეობს. იმისდა მიუხედავად, დარჩება თუ არა ხელნაწერთა ინსტიტუტი აკადემიის სისტემაში, ვხედავთ ამ გამოფენის მიხედვითაც, რომ ატესტაცია ბრწყინვალედ გაიარეთო...**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ და კულტურის მინისტრის მოადგილემ (თუ სამინისტროს მოკლედ მოვიხსენიებთ) ნიკო ვაჩეიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს ნანახს და ინსტიტუტს ყოველგვარი ხელშეწყობა აღუთქვეს.

ბატონ თამაზს ჰაიჰარად როდი უთქვამს, „დარჩება თუ არაო". საქმე ის არის, რომ ხელნაწერების ინსტიტუტის უძველესი და უმდიდრესი მანუსკრიპტული ქონების დასაცავად საგანგებო გარემო და, შესაბამისად, დამატებითი სახსრებია სისტემატურად საჭირო. აკადემიის ბიუჯეტი ამდენს ვერ სწვდება, ამიტომ შეიძლება ინსტიტუტი განათლებისა (აქაც მოკლედ მოვიხსენიოთ) და კულტურის სამინისტროებმა „შეიკედლონ". ღმერთმა ქნას, თუ ეს მოხდა, კარგად გრძნობდეს თავს ორი „ძიძის" ხელში.

ინსტიტუტის ათწლიანი სამეცნიერო პროდუქციის დახასიათება დირექტორის მოადგილეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს **მზია სურგულაძეს** ვთხოვეთ:

**— ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ქართველი ხალხის სულიერი ინტერესებისა და ინტელექტუალური ძიებების ამსახველი მატერიალური ძეგლები ძველი ხელნაწერი წიგნების სახით. ჩვენი ძირითადი ფუნქციები ხელნაწერთა მოვლა-შენახვა და მეცნიერული შესწავლა გახლავთ. დღეს აქ წარმოდგენილია სასულიერო მწერლობის დარგები, ახალი თარგმანები, ცალკეულ ავტორთა თხზულებები, ქართველ მკვლევართა შრომების უცხოური პუბლიკაციები. გამოტანილია აგრეთვე საქართველოში თუ მის გარეთ საექსპედიციო მუშაობის შედეგად ახლად გამოვლენილი ძეგლები. თქვენ იხილეთ აუცილებელი გზამკვლევებიც — ქართული და აღმოსავლური (არაბულ-თურქულ-სპარსული) ფონდების აღწერილობები და ანოტირებული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა.**

**გამოფენაზე 80-მდე „ერთეული" წარმოვადგინეთ. დავასახელებთ „გრიგოლ ნაზიანზელის უძველესი ქართული თარგმანები" (შესრულებული საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, ბელგიის ქალაქ ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან ერთად); აღმოსავლურ ენებზე ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობები (მათ შორის ზოგი ჩვენი ისტორიის გარკვეული მომენტების ამსახველი დოკუმენტია, ზოგიც მხატვრული); ექსპედიციების წყალობით მოპოვებულ მასალებზე შექმნილი შრომები (მათ შორის ზაზა ალექსიძის აღმოჩენა, საქართველოს ისტორიული მეზობლების, ალბანელების მწერლობასთან დაკავშირებული და სენსაციად ქცეული; გავიხსენოთ — აღმოჩენა მიგნებულია სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ კოლექციაში, რომელსაც ახალი შეერქვა); ათონის მთაზე ივერთა მონასტრის ბერძნული აქტები (ელენე მეტრეველთან თანამშრომლობითო — ასე აწერია ფრანგული თარგმანის ყდას; განსვენებული ქალბატონი ელენე თვეობით იჯდა პარიზში, ტექსტების ინსტიტუტში და კონსულტაციებს უწევდა იქაურ კოლეგებს); ლონდონში გამოსული თამილა მგალობლიშვილის გამოკვლევა საქართველოს ეკლესიის ადრეული ისტორიის შესახებ, აგრეთვე თამარ ოთხმეზურის ფილოლოგიური გამოკვლევა ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარებზე და სხვა.**

შევხვდით ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს, ზაზა აბაშიძესაც.

**— ჩვენ მთავარი წიგნთსაცავი ვართ და ძალიან მიხარია, რომ სხვადასხვა სფეროში მოღვაწენი თავიანთი წარმატებების წარმოსაჩენად ეროვნულ ბიბლიოთეკას ირჩევენ. მზად ვართ, კვლავაც მოვემსახუროთ ჩვენ სახელოვან მეცნიერებათა აკადემიას. მადლობელი ვართ, რომ გამოფენიდან საჩუქრად დაგვრჩა რამდენიმე ძვირფასი გამოცემა. გული გვატკინა ტელევიზიის უყურადღებობამ — ჩვენ ხომ თავის დროზე შევატყობინეთ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების თაობაზე პირველ არხს, „რუსთავი-2"-ს, „მზეს"...**

**თამაზ ეზანოიძე.**

# განცხადება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**27 ივნისი, 2005 წელი** — **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანმა, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით ჯავახაძის განცხადება სს „ტრაქტორის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით,**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8. მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დავადგინე:**

1. სს „ტრაქტორის" მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.
2. მოვალე სს „ტრაქტორს" აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ზურაბ ვარდოსანიძე, დაბადებული 1953 წლის 14 იანვარს, ქ. ქუთაისში, მცხოვრები ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. № 76ᵃ/25-ში, პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი.
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, სს „ტრაქტორის" ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.
5. მოვალე სს „ტრაქტორის" ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
6. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე სს „ტრაქტორის" ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. № 19).
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს მოვალე სს „ტრაქტორის" ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. სს „ტრაქტორის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნას 2005 წლის 27 ივნისს, დღის 12 საათიდან.
9. 2005 წლის 27 სექტემბერს, 12 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში (მე-4 სართულზე) მოწვეული იქნას კრედიტორთა პირველი კრება. კრებაზე შემოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე მოსმენილი იქნება გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის, სს „ტრაქტორის" გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „ტრაქტორს" აქვს საქმიანი ურთიერთობა.
11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.
12. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.
13. სს „ტრაქტორის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

**მოსამართლე**
**დურმიშხან ჟორჟოლიანი.**

## საქართველოს კულტურის ფონდი აცხადებს კონკურსს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

**პრემია მიენიჭება ნებისმიერ პიროვნებას ქველმოქმედებისა და ეროვნული კულტურის გადარჩენა-აღორძინების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის.**

**გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ბრინჯაოს მედალიონითა და ფულადი პრემიით.**

**პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატის წამოყენება შეუძლიათ კულტურის სამინისტროს, შემოქმედებით კავშირებს, ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს.**

**კონკურსში მონაწილეთა მსურველებმა წარდგინება-რეკომენდაცია უნდა წარმოადგინონ კონკურსის გამოცხადებიდან ამა წლის აგვისტოს ბოლომდე.**

**მისამართზე — ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 48. ტელ. 99-64-11; 99-85-79.**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ 45 წლის. 4 შვილის დედა. ვცხოვრობ რაიონში. მესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო დახმარებისათვის — ეკონომიკურად მიჭირს და ვერ შევძლებ ოპერაციისთვის საჭირო თანხის გადახდას.**

**მიხეილ კოზერიძე.**

დახმარებისათვის უნდა მიმართოთ თქვენი რაიონის გამგეობას, საიდანაც შესაძლებლობის ფარგლებში გაგეწევათ დახმარება. ვინაიდან 2005 წლის 1 იანვრიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში აღარ შედის ოპერაციის დასაფინანსებლად საჭირო თანხების გამოყოფაზე აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება.

* * *

**— მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ შვილთან ერთად. ვართ I ჯგუფის ინვალიდები. არ გვყავს მარჩენალი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, გვეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება და რა ოდენობით?**

**ელდარ თვალჭრელიძე.**

მარტოხელად ითვლებიან და სოციალური დახმარება ენიშნებათ იმ მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერებისგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ, პენსიას იღებენ თვეში არაუმეტეს 45 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

აქვე გაცნობებთ, რომ არამომუშავე ორი და მეტსულიანი ოჯახებისთვის ყოველთვიურად გასაცემი სოციალური დახმარების თანხის ოდენობა 35 ლარს შეადგენს.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

◎ წინ, საქართველო!

# ფეიერვერკი, ფერხული და იღბლიანი დებიუტი

**გასულ კვირას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა „ცამეტკაცა“ რაგბიში 2005 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშებას უმასპინძლა. საქართველოს რაგბილიგის ნაკრები, რომელმაც ამ ტურნირის პირველ მატჩში სტუმრად ჰოლანდიას სძლია, სერბეთის ეროვნულ გუნდს შეხვდა.**

მატჩი ფეიერვერკითა და სარაგბო ფერხულით დაიწყო. საზეიმო განწყობილება მოედანსა და ტრიბუნებზე საფინალო სასტვენამდე არ შეწყვეტილა. ქართველმა გულშემატკივრებმა უშუალოდ მოედანზე პირველად ნახეს „ცამეტკაცა“ რაგბის გუნდების ორთაბრძოლა, წესებშიც მალევე გაერკვნენ და ომახიანად უქომაგეს „ჯვაროსნებს“.



პირველი შეტევა სტუმრებმა განახორციელეს და ვუკანოვიჩმა საჯარიმოდან ანგარიშის გახსნის რეალური შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, მე-7 წუთზე მასპინძელთა იერიში გილაურმა ლელოთი დააგვირგვინა. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად საქართველოს ნაკრების ხელში გადავიდა, რომელმაც შესვენებამდე ანგარიში 26 ქულამდე გაზარდა – 26:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. როცა ანგარიში 38:0 გახდა, სერბები გამოცოცხლდნენ, ორი ლელო და ორი გარდასახვაც გაგვიტანეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. საბოლოოდ, მატჩი საქართველოს ნაკრებმა მოიგო 44:12 და ევროპის ერთა თასის გათამაშებაში, ანუ „ბებერი“ კონტინენტის ელიტაში მოხვდა, სადაც საფრანგეთისა (სტუმრად) და რუსეთის (შინ) ცამეტკაცა ნაკრებ გუნდებთან მოუწევს პაექრობა.

კვირას სადებიუტო მატჩში „ჯვაროსნები“ ასეთი შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე: გიორგი ასათიანი, ზვიად კობერიძე, სანდრო გილაური, გიორგი კობერიძე, დავით ქამუტაშვილი, კახა ალანია, ბიძინა სამხარაძე, დავით გასვიანი, ნონო ანდღულაძე, ზვიად მაისურაძე, ნიკა მხეიძე, ლექსო გუგავა, კახა კობერიძე; სათადარიგოები – ოთარ ელოშვილი, გიორგი ხოსიტაშვილი, ფრიდონ უდესიანი, ედიშერ ჯამრულიძე.

საქართველოს მორაგბეებმა სერბებს 8 ლელო გაუტანეს. მათ შორის – 2 გილაურმა, თითო – ზ. კობერიძემ, სამხარაძემ, გასვიანმა, ანდღულაძემ, მხეიძემ და გუგავამ; 6 გარდასახვა ზუსტად შეასრულა კობახიძემ.

ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ ევროპის რაგბილიგის ფედერაციის დირექტორმა გრემ ტომსონმა ამ შეხვედრაში გამარჯვებულისთვის დაწესებული არჩილ კობახიძის თასი საქართველოს ცამეტკაცელთა კაპიტანს – კახა ალანიას გადასცა.

დებიუტი შედგა. იმედია, ჩვენი მორაგბეები მომდევნო ორ მატჩშიც იყოჩაღებენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# ღირსების მატჩი

**თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა კახი ცხადაძემ გუნდს საქართველოს ჩემპიონატობაც მოუტანა და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიც დააძლევინა, მაგრამ კლუბის უფროსობა მასთან კონტრაქტის გაფორმებას მაინც არ ჩქარობს. ამდენად, დანიის „ბრონდბიუსთან“ ორრაუნდიანი დუელის შედეგს, წმინდა სპორტულ თვალსაზრისთან ერთად, დამატებით მნიშვნელობას სტრატეგიული ფაქტორიც ანიჭებს – სკანდინაველებთან წარმატების შემთხვევაში კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონს სწორი გეზი აქვს აღებული, რაც, ალბათ, ცხადაძესთან კონტრაქტის ხელმოწერასაც დააჩქარებს.**



ლეგენდარული დანიელი ფეხბურთელის მიქაელ ლაუდრუპის გაწვრთნილი „ბრონდბიუ“ გუნდის დებიუტანტის რიტერის თანხლებით თბილისში გუშინ ნაშუადღევს ჩამოფრინდა და საღამოს „დინამოს“ სტადიონზე ივარჯიშა კიდეც, მასპინძელთა თავკაცმა კი დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა:

– სტუმართა მსგავსად, ჩვენც გავძლიერდით – მართალია, იაშვილსა და ამისულაშვილს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, მაგრამ მათ საშემსრულებლო კლასსა და ბრძოლისუნარიანობაში დარწმუნებულნი ვართ. მთლიანობაში მთელი გუნდი, ტრავმირებულების – ქემოკლიძისა და ნერგაძის, აგრეთვე დისკვალიფიცირებული ოდიკაძის გარდა მონდომებით ემზადება დღევანდელი შეხვედრისათვის და, ვფიქრობ, ღირსეულად გავუმკლავდებით ჩრდილოელებს. რაც შეეხება მეტოქეს, მისი წარმომადგენლები არც მალავენ თავიანთ მიზანს – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას. თუ გავითვალისწინებთ დანიის ეროვნული ჩემპიონატის დონესა და კლუბის სპონსორთა როლს, უნდა ვაღიაროთ მათი ამბიციების საფუძვლიანობა. ვიცი, ბევრს აღელვებს ოდიკაძის მინდვრიდან გაძევებისა და მსგავსი ფაქტების შესაძლო გამეორების საკითხი, რაც ჩვენი გუნდის ახალგაზრდა წევრების გამოუცდელობასა და ემოციურობას უკავშირდება. მათ ერთი წინადადებით ვუპასუხებ: რამდენადაც ლოიალური პიროვნება ვარ ცხოვრებაში, იმდენად დიქტატორად ჩამთვალონ მინდორზე.



დავძენთ, რომ დღევანდელ შეხვედრას უნგრელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება საბოს მეთაურობით.

**გია პლატონიშვილი**

◎ ამბობენ, მართალია?

# იქნებ, მართლა გავუშვით ხელიდან გადარჩენის შანსი?

**რას არ გაიგებ კაცი. კვირა საღამოს, როცა ქართული სპორტული სამყარო მორაგბეთა წარმატებით ხარობდა, გულშემატკივართაგან ერთ-ერთმა საუბარი ამ დღეებში დაღუპულ მთამსვლელებზე წამოიწყო და მათ ასეთ ხვედრში ოფიციოზი, უფრო კონკრეტულად კი საგარეო საქმეთა სამინისტრო დაადანაშაულა.**

**იმავე დღეს, როცა განსაცდელში ჩავარდნილ ჩვენს თანამემამულეთა ამბავი გაჟღერდა, რუსები გამოგვეხმაურნენ და მათი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ისეთი ვერტმფრენით დახმარება შემოგვთავაზეს, რომელსაც ნებისმიერი სირთულის მწვერვალიდან შეეძლო განწირულთა ჩამოხსნა, მაგრამ უარი მიიღესო – ამტკიცებდა უცნობი ქომაგი.**

**საინტერესოა, ნუთუ მართლა გავუშვით ხელიდან მთამსვლელთა გადარჩენის შანსი?**

◎ მემორიალი

# 2 ბურთი გაუშვეს, 111 კი გაიტანეს!

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ტრადიციულად მართავს სამოქალაქო ომში გმირულად დაღუპული ნოდარ მელუას ხსოვნის ტურნირს ფეხბურთში, რომელიც სტარტს შემოდგომაზე იღებს და ზაფხულში სრულდება. მიმდინარე გათამაშებაში 1992-93 წლებში დაბადებული ბიჭების 18 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა. ორწლიანმა ასპარეზობამ გამარჯვება მოუტანა ნოდარ ახალკაცის სახელობის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდს.**

„21 საუკუნეს“ (მწვრთნელები გივი ბუაძე, გოგი ბუაძე, სკოლის დირექტორი ნოდარ ლეჟავა).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნოდარ მელუას ხსოვნის თასის მფლობელმა გუნდმა – „21 საუკუნემ“ ასპარეზობა დაუმარცხებლად წარმართა. კლუბის ფეხბურთელებმა მეტოქეთა კარში 111 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ ორი მიიღეს.

ტრადიციული მემორიალის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა ამავე სკოლის აღსაზრდელმა მიხეილ სარდლიშვილმა, რომელმაც 30 ბურთი გაიტანა. საუკეთესო მცველის ჯილდო გადაეცა გიორგი ძინძიბაძეს, საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი გიორგი ალავიძემ დაიმსახურა, ხოლო ასპარეზობის ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი გიორგი ქურდაძემ მიიღო.

**შალვა ჩიხლაძე.**

**სურათზე: „21 საუკუნის“ ფეხბურთელთა გუნდი.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**



◎ ფეხბურთი



# მხოლოდ შედეგები

**ინტერტოტოს თასი. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. „ნიუკასლი“ – „დუბნიცა“ 2:0 (3:1), „სლავენი“ – „დეპორტივო“ 0:3 (0:1), „ქალგირისი“ – „ეგალეო“ 2:3 (3:1), „ჰამბურგი“ – „ლეირია“ 2:0 (1:0), „ტამპერე“ – „ლაციო“ 1:1 (0:3), „ლანსი“ – „ვარტექსი“ – 4:1 (1:1), „ლიბერეცი“ – „როდა“ 1:1 (0:0), „სიგმა“ – „ბორუსია“ 0:0 (1:1), „ვოლფსბურგი“ – „გიოტებორგი“ 2:0 (2:0), „მარსელი“ – „იანგ ბოიზი“ 2:1 (3:2), „ვალენსია“ – „გენტი“ 2:0 (0:0), „სენტ-ეტიენი“ – „კლუჟი“ 2:2 (1:1).**

**„მშვიდობის თასი“. ფინალი. „ტოტენჰემი“** – „ლიონი“ 3:1 (გამარჯვებულებს ჯილდოდ 2 მილიონი დოლარი გადაეცათ).

**„ოქროს თასი“. ფინალი. აშშ** – პანამა 0:0 (პენალტებით – 3:1).

**რუსეთი. XVII ტური.** „მოსკოვი“ –„ლოკომოტივი“ 0:1, „ზენიტი“ – „ალანია“ 3:1, ცსკა – „ტომი“ 2:0, „რუბინი“ – „სპარტაკი“ 0:0, „ტორპედო“ – „დინამო“ 2:1, „ამკარი“ – „სატურნი“ 3:2, „შინიკი“ – „როსტოვი“ 2:1 (სტუმართაგან გოლი **მიხეილ აშვეთიამ** გაიტანა), „კრილია“ – „თერგი“ 0:1.

ლიდერთა ჯგუფი. „ლოკომოტივი“ – 41, „ზენიტი“ – 32, ცსკა – 31, „რუბინი“ – 28 ქულა.

**უკრაინა. III ტური.** „ხარკოვი“ – „შახტარი“ 2:3, „ვორსკლა“ – „მეტალისტი“ 0:1, „დინამო“ – „სტალი“ 4:0, „ჩერნომორეცი“ – „ზაკარპატიე“ 2:0, „კრივბასი“ – „ტავრია“ 2:0, „ვოლინი“ – „არსენალი“ 2:1, „მეტალურგი“ (დონეცკი) – „ილიჩოვეცი“ 0:0, „დნიპრო“ – „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი.** „შახტარი“, „მეტალისტი“ – 9-9, „დინამო“, „ჩერმონორეცი“ – 7-7 ქულა.

**ამხანაგური მატჩი.** „ჩელსი“ – „მილანი“ 1:0.

◎ სუმო

# „შავი ზღვა“ წოდებას შეიცვლის

**იაპონიის ქალაქ ნაგოიაში დამთავრდა სუმოისტთა ივლისის ბაშო. ამ შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზა ქართველმა სპორტსმენმა ლევან ცაგურიამ, რომელიც კოკაის („შავი ზღვა“) სახელით არის ცნობილი. ბოლო ტურში ლევანმა დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ტაკამისაკარი მძლავრი მიწოლით დოჰიოს (სარბიელი) მიღმა გაიყვანა და 15 შეხვედრაში მე-9 გამარჯვება მოიპოვა. ამდენად, კოკაიმ ივლისის ბაშო დადებითი ბალანსით დაამთავრა და სექტემბრის ტურნირზე მას წოდებას მოუმატებენ: სავარაუდოდ, ის პირველი ან მეორე მაეგაშირა გახდება.**



რაც შეეხება ივლისის ბაშოს, იგი ტრიუმფით დაამთავრა მონღოლმა იოკუძუნამ – ასაშორიუმ, რომელმაც 13 შეხვედრაში მოიპოვა გამარჯვება და პირველი ადგილი დაიკავა. 12 მოგებით მეორე ადგილზე ბულგარელი კოტუშუ გავიდა.

◎ ჩემპიონი

# ყველამ იცოდეს, რომ „ჯვაროსნები“ მოდიან

**ამას წინათ, საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის (I.B.S.F. შტაბბინა – დიუსელდორფი, გერმანია) ეგიდით თელავმა კონტაქტურ კარატეში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. 8 ქვეყნის 120 მებრძოლი ოთხ წონით კატეგორიაში ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონობას. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ყველაზე პრესტიჟული – აბსოლუტური კატეგორიის ასპარეზობა, სადაც ამ წონაში ყველაზე მსუბუქმა (92 კგ), 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო მებრძოლმა (I.B.S.F.-ის ვერსია) – ლევან პარწიკანაშვილმა გაიმარჯვა. მან ნახევარფინალში წმინდად მოუგო (საერთო აღიარებით, მსოფლიო ჩემპიონატზე შესრულებული ყველაზე ლამაზი, ეფექტური ილეთით) 15 კგ-ით მძიმე მოწინააღმდეგეს, ხოლო ფინალში ორი „ვაზარით“ ვადამდე დაამარცხა მასზე 18 სანტიმეტრით მაღალი და 18 კილოგრამით მძიმე, მეტად ტექნიკური და სწრაფი მებრძოლი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პარწიკანაშვილმა ხერხემლის უმძიმესი ტრავმის გამო, მარტი-აპრილი, ფაქტობრივად, წოლით რეჟიმში გაატარა, ხოლო ბოლო 8 თვე სრულფასოვანი დატვირთვითაც არ უვარჯიშია, რადგან ტრავმა ბოლომდე არა აქვს მოშუშებული, მისი გამარჯვება მეტ ელფერს იძენს.**

**ვესაუბრებით კონტაქტურ კარატეში 2004 წლის მსოფლიო „სუპერსთარ ჩემპიონს“ (ჩემპიონთა ჩემპიონი, I.B.S.F.-ის ვერსია), მსოფლიო აბსოლუტური კატეგორიის გამარჯვებულს (W.B.F.-ის ვერსია), კავკასიის აბსოლუტური კატეგორიის ჩემპიონს, კარატეს დიდი ოსტატის „მასუტასუ იოამას სახელობის თასის“ მფლობელს, მსოფლიოს საუკეთესო მებრძოლს (I.B.S.F-ის ვერსია), 2005 წლის მსოფლიო აბსოლუტური კატეგორიის ჩემპიონს, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის (I.B.S.F. GEORGIA) შეფ-ინსტრუქტორს, კარატეს სტილ ნეკო-რიუს წარმომადგენელ ლევან პარწიკანაშვილს:**

***– ლევან, რა არის შენი წარმატებების მიზეზი?***

– უპირველესად სწორი ვარჯიში და, რაც მთავარია, კეთილი ნება და შეუპოვრობა! ადამიანმა, მით უმეტეს, მებრძოლმა, ცხოვრების კრედოდ უნდა აირჩიოს თავგანწირვა. სადაც თავგანწირვაა, იქ ვაჟკაცობაცაა, ცხოვრება საინტერესო ხდება. იღვიძებს პასუხისმგებლობის გრძნობა, ღირსება...

**– ალბათ, რამაც შეგაძლებინა, უმძიმესი ტრავმის შემდეგ ფეხზე დამდგარიყავი და ღირსეული გამარჯვებისთვის მიგეღწია...**

– ჩემი მასწავლებელი კახაბერ მარკოზაშვილი მხოლოდ ერთს მეუბნებოდა: „მთავარია რწმენა და ბრძოლა! წამითაც არ დანებდე ბედისწერას...“

ეს სიტყვები მუდამ თან მდევდა, მაშინაც, როდესაც ხერხემლის საშინელმა ტკივილმა, ფაქტობრივად, ლოგინად ჩამაგდო. ღვთის შეწევნით, გამომიჩნდნენ კვალიფიციური ექიმებიც. რაიონის გამგებელ ბატონ გოჩა მამაცაშვილისგანაც მუდმივად ვგრძნობდი თანადგომას. ერთობლივმა ნებამ შედეგი გამოიღო.

**– საუბარში ხშირად მადლიერებით იხსენებ გოჩა მამაცაშვილს...**

– რაიონში ნებისმიერს ჰკითხეთ და ყველა გეტყვით, თელავს გოჩასნაირი გამგებელი არ ჰყოლიაო. ასევე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ირაკლი ალასანიას გულისხმიერება (ლევანი აფხაზეთიდან დევნილია). ფაქტობრივად, ბატონ ირაკლის თანადგომამ შემაძლებინა მოკლე დროში ასეთი წარმატებების მიღწევა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა ვუთხრა მას გაწეული დახმარებისთვის.



**– თელავში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე რას იტყვი?**

– იგი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა გახსნა. ძნელად მახსენდება ანალოგიური შემთხვევა, სპორტის სხვა სფეროში ბატონ ბადრის გაეხსნას ესა თუ ის ღონისძიება... ესეც, რასაკვირველია, დამატებით სტიმულს გვაძლევდა სპორტსმენებს. ვფიქრობთ, ქართველებმა გავამართლეთ ის იმედები, რაც ბატონმა ბადრიმ ჩემპიონატზე მობრძანებითა და ყურადღებით გამოხატა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა სახელმწიფო სტრუქტურამ, რომლებიც ვალდებული იყვნენ, მხარი დაეჭირათ ჩვენთვის, თუნდაც მორალურად, თელავში ჩამობრძანებაც არ იკადრეს. სამაგიეროდ, კომერციული ორგანიზაციები დაგვიდგნენ გვერდით. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩემპიონატის გენერალური სპონსორი – „თელავის **ღვინის მარანი**“. დიდი მადლობა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბატონ **კახა ზუკაკიშვილს.**

***– სამომავლოდ რას აპირებ?***

– სექტემბერში კიოკუშინ კარატეს მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზებ, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე, ალბათ, მარტო ჩვენი ფედერაციის მებრძოლები ვიქნებით განსხვავებული სტილის წარმომადგენლები (ლევანი **ნეკო-რიუში** ვარჯიშობს), თუმცა, ეს არ იქნება ჩვენთვის ახალი ხილი, რადგან თელავში კიოკუშინ-კარატეს წესებით გავიმარჯვე. ოქტომბერში კავკასიის აბსოლუტური ჩემპიონატი გაიმართება, ნოემბერში კონტაქტურ ორთაბრძოლათა მსოფლიო თასზე გამოვალ ბაქოში. შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა თუ გვექნება, კარატეში იაპონიის აბსოლუტური კატეგორიის ჩემპიონატზეც გავემგზავრებით და ყველგან მხოლოდ პირველი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ. უცხოეთში „ჯვაროსნები“ შეგვარქვეს. ჰოდა, ყველამ იცოდეს, „ჯვაროსნები“ მოდიან!

**ესაუბრა
გიორგი გაგუა.**

**სურათზე: ლევან პარწიკანაშვილი და გოჩა მამაცაშვილი.**

◎ სპორტულ ორბიტაზე



## არმსტრონგის მეშვიდე ტრიუმფი

**თუმცა ამერიკელმა ველოსიპედისტმა ლენს არმსტრონგმა („დისკავერი ჩენელი“) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანს“ დაწყებამდე განაცხადა, რომ ის ამ შეჯიბრების დასრულების შემდეგ დიდი სპორტიდან მიდის, მაგრამ თავად ამ ურთულესი რბოლის დროს თავი არ დაუზოგავს და კვირას, პარიზში, ელისეს მინდვრებზე, ბოლო, 144-კილომეტრიანი ეტაპის ფინიშზე ზედიზედ მეშვიდედ მოირგო გამარჯვებულის ყვითელი მაისური.**

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამერიკელმა ამ თავისი მეშვიდე გამარჯვებით გააფართოვა ადამიანური შესაძლებლობების საზღვრები. ადრე მაქსიმუმ 5 გამარჯვება იყო მიჩნეული ზღვარად. მაგრამ ლენს არმსტრონგმა დაამტკიცა, რომ ადამიანს, თუ მოინდომებს, გაცილებით მეტი შეუძლია. თუ არა გადაღლა, ის ალბათ მერვედაც შეძლებდა გაჩემპიონებას.

არ დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ეს შეძლო უკურნებელი სენის-კიბოს დამძლეველმა ადამიანმა, ამერიკის გმირად რომ გამოაცხადეს და ახლა თავისი დაარსებული ორგანიზაციით რომ იბრძვის მისი სამუდამო დამარცხება – პროფილაქტიკისთვის.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა ბასო (იტალია, CSC) ჩამორჩენა 4,40, მესამეზე ურლიხი (გერმანია „T-მობილე“) – ჩამორჩენა – 6,21.

## რაიკონენს ბედი არ სწყალობს

**„რენოს“ ესპანელი პილოტის ფერნანდო ალონსოს კიდევ ერთი გამარჯვებით დამთავრდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 56-ე მსოფლიო ჩემპიონატის მეთორმეტე ეტაპი – „გერმანიის გრან-პრი“, თუმცა, ბედის უკუღმართობა რომ არა, პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე „მაკლარენის“ ფინელი მრბოლი კიმი რაიკონენი უნდა ასულიყო.**

ალბათ გახსოვთ, ამას წინათ ის რბოლის ბოლო წრეზე დააღალატა ბოლიდმა.

ახლაც ჰოკენჰაიმრინგის ავტოდრომზე მან მშვენიერი სტარტი აიღო და 35-ე წრემდე ლიდერობდა, თითქმის 30 წამით უსწრებდა წლევანდელი რბოლის ლიდერს – ალონსოს. მაგრამ სწორედ აქ ტრანსმისიის მწყობრიდან გამოსულის გამო „მაკლარენის“ უკანა ბორბლები თითქოს გაქვავდნენო და კიმიმ ბრძოლა შეწყვიტა. ამით კარგად ისარგებლა ალონსომ, ლიდერობა ხელთ იგდო და ფინიშამდე წინ აღარავინ გაუშვა.



თანაგუნდელის ფიასკო ერთგვარად გამოასწორა „მაკლარენის“ კოლუმბიელმა პილოტმა ხუან პაბლო მონტოიამ და გამარჯვების კვარცხლბეკზე მეორე საფეხური დაიკავა. მესამე კი „ბარ-ჰონდას“ ბრიტანელ პილოტს ჯენსონ ბატონს დარჩა, რომელმაც თავისებურ ორთაბრძოლში მიხაელ შუმახერი დაჯაბნა, რომელსაც ბოლოს უკანა საბურავებმა უმტყუნა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

12 ეტაპის შემდეგ პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: 1. ალონსო – 87 ქულა, 2. რაიკონენი – 51; 3. მიხაელ შუმახერი – 47; მონტოია – 34; 5. ბარიკელო („ფერარი“) და ტრული („ტოიოტა“) – 31.

კონსტრუქტორთა თასზე კი გუნდები ასე განლაგდნენ: 1. „რენო“ – 117; 2. „მაკლარენი“ – 95; 3. ფერარი“ – 78; 4. „ტოიოტა“ – 57; 5. „უილიამსი“ – 47 და ა.შ.

**სურათზე: კიმი რაიკონენის ავარია.**

## უფულოდ და უარყოდ!

**ძალზე ორიგინალურად გაატარა შვებულება 41 წლის პოზნანელმა ფოსტალიონმა იაცეკ გუტმა – მან 230 საათში შემოიარა მთელი პოლონეთის ყველა სავოევოდო, თანაც ისე, რომ კაპიკი ფული არ ჰქონდა.**

„ – მე მინდოდა დამემტკიცებინა, რომ პოლონეთი ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ სტუმართმოყვარე და გულღია, უანგარო და დახმარებისთვის მზად მყოფი ადამიანები“, – განაცხადა მოგზაურობის დამთავრების შემდეგ ფოსტალიონ – ველოსიპედისტმა.

ის დღე-ღამეში 220 კილომეტრს გადიოდა, სამი-ოთხი საათი ეძინა. ყოველ დასახლებულ პუნქტში თავის საგზურს ბეჭდით ამოწმებინებდა, რათა ბოლოს თავისი მარშრუტი დაედასტურებინა.

მან საგზაო პოლიციიდან რამდენიმე ცნობაც აიღო, რომ ის სრულიად ფხიზელი იყო, რითაც სანაძლეო მოუგო ამხანაგ – თანამშრომლებს, რომლებიც უმტკიცებდნენ, რომ პოლონეთში მოგზაურობა ალკოჰოლური სასმელების გამოუყენებლად შეუძლებელია.

## რონალდოს ახალი მონაპოვარი

**ალბათ გახსოვთ, ქვეყანა შეიყარა ბრაზილიელი ფეხბურთის ვარსკლავის რონალდოსა და მოდელ-ტელეწამყვანის დანიელა ჩიკარელის რომანზე, პარიზის მახლობლად, ძველ ციხე-დარბაზში მათ ნიშნობაზე და სამი თვის შემდეგ განშორებაზეც.**

აბა, სიცოცხლით სავსე ფეხბურთელს ისე რა გააჩერებდა და ყოფილ ცოლსაც, თითქმის ცოლადყოფილსაც შემცვლელი მალე მოუძებნა, ისევ ნაცნობ გარემოში. ახლა მისი „დაქალი“ გახდა 20 წლის ლამაზმანი რაიკა ოლივეირა.

რაიკა ჯერ კიდევ 15 წლის პრესტიჟული კონკურსის Elite Mode ehook შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული გახდა და პარიზში გაემგზავრა მთავარ ტურნირზე. ნორჩმა ბრაზილიელმა ქალიშვილმა იქ სენსაცია მოახდინა და მეორე ადგილი დაიკავა, რითაც გზა გაეხსნა მაღალი მოდის სამყაროსკენ. მისი სამსახურით სარგებლობდნენ „დიორი“, „გოტიე“, „დოლჩე და გაბანა“. ის ნიუ-იორკში გადასახლდა, მაგრამ სამშობლოსაც არ ივიწყებს.

სწორედ ბრაზილიაში გაიცნეს მათ ერთმანეთი – შვებულებაში მყოფი ფეხბურთელი სან-პაულუში მოდების ჩვენებაზე მივიდა და შეიძლება ითქვას, მას შემდეგ აღარ დასცილებიან ერთმანეთს.

როგორც რაიკა ამბობს: „რონალდო ძალზე საინტერესო ადამიანია, მე მსიამოვნებს მის საზოგადოებაში ყოფნა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საყვარლები ვართ“.

როგორც ამბობენ, მათ სამოდელო ბიზნესი აინტერესებთ, მაგრამ განა მარტო ეს?



## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის სასურველი სტუმარი ხშირად იყო სახელგანთქმული ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი (ცენტრში).**
**XX საუკუნის 70-იანი წლები.**

**მოგვაწოდა ლეილა გორგოძემ.**

## გიხაროდეს!

### თამარმა გიორგი გვაჩუქა!



ახალი ოჯახის შექმნა ყოველთვის ფიქრია ოჯახის წევრთა გამრავლებაზე, მის მომავალზე... ასე იყო ოთარისა და თამარის ქორწილშიც. მათ ამ დღეს მრავალ მოსაკითხთან ერთად მაყრებისგან და სტუმრებისგან დალოცვაც ასეთი მიიღეს: – გამრავლდით!

ამ დღეებში თამარს ვაჟი შეეძინა, ბიჭს ჩემი სახელი გიორგი დაარქვეს. ვიცი, „საქართველოს რესპუბლიკა“ ახალგაზრდა ოჯახებს ყურადღებას აქცევს, ამიტომაც მოგაკითხეთ, მინდა, ჩემი შვილიშვილიც მოხვდეს ამ დიდ სიხარულში. წინასწარ მადლობას გიხდით ჩემი შვილის ოთარისა და ჩემი რძლის თამარის ახალგაზრდა ოჯახის გამრავლების გაზიარებისთვის.

**გიორგი აფციაური,**
**რუსთავი.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



**ისწავლეთ** ლათინური. სამოთხეში ქართულად არავინ დაგელაპარაკებათ!

* * *

**ინგლისელი,** ფრანგი და რუსი ლამაზმანები სილამაზის კონკურსის დაწყებამდე გასაუბრებას გადიან. კითხვა ასეთია: „წარმოიდგინეთ, რომ 20 მამაკაცთან ერთად უკაცრიელ კუნძულზე მოხვდით. რას მოიმოქმედებთ?“

– ვილოცებ და ღმერთს შველას ვთხოვ, – ამბობს ინგლისელი.

– ყველაზე ძლიერს ამოვარჩევ და იგი დამიცავს, – თავის შეხედულებას გამოთქვამს ფრანგი.

– კითხვა გავიგე, მაგრამ პრობლემას ვერ ვხედავ, – გაკვირვებულია რუსი.

* * *

**ტიპი** კაბინეტში ზის და უსაქმურობისგან მოწყენილი სახაზავით მაგიდაზე დაფრენილ ბუზებს ხოცავს. უცებ ერთი ბუზი ადამიანურად ალაპარაკდა:

– ნუ მომკლავ და სამ სურვილს შეგისრულებ!

– მინდა, რომ სამხრეთში, ზღვასთან, საკუთარ ვილაში ვცხოვრობდე...

ერთ წუთში იგი მდიდრული ვილის ეზოდან ზღვის ხედების ცქერით ტკბება.

– მინდა, რომ გარს უამრავი ლამაზმანი მეხვეოდეს...

ერთ წუთში იგი ლამაზი ქალიშვილების წრეში ნებივრობს.

– მინდა, რომ კარგად ვცხოვრობდე და არაფერს ვაკეთებდე...

ერთ წუთში იგი კვლავ თავის კაბინეტში იჯდა და სახაზავით ბუზებს კლავდა.

* * *

**ორი** ძმაკაცი მომავალი ღრეობის დაწყებამდე ხვდება ერთმანეთს.

– როგორ გრძნობ თავს?

– გმადლობ, იმაზე უკეთ, ვიდრე ხვალ ან ზეგ ვიქნები.

* * *

**დგას** მილიციონერი პოსტზე და ფიქრობს: ორს მივუმატოთ ორი ოთხია, ორჯერ ორიც ოთხია. სამს მივუმატოთ სამი კი არის ექვსი, მაგრამ სამჯერ სამი უკვე ცხრაა. რა უბედურებაა ეს?

ურეკავს განყოფილების უფროსს და ეუბნება: რაღაც საოცრება ხდება, ორს თუ ორს მივუმატებთ, ოთხს მივიღებთ, ორჯერ ორიც ოთხია, აი, სამს თუ სამს მივუმატებთ, ექვსი იქნება, სამჯერ სამი კი უკვე ცხრაა. რა ხდება? ახლა გამოკლებასა და გაყოფაზე ვფიქრობ.

– შენ ჭკუაზე ხარ? – ლამის ყურმილში შემოძვრეს გაგიჟებული უფროსი, – შენ რა, მათემატიკაში სავარჯიშოდ დაგაყენეს მანდ? ვის უნდა შენი გამოკლება და გაყოფა? შენ იშოვე და მოიტანე, გაყოფით კი აქ უშენოდაც გაყოფენ!

## თითქმის ნატურიდან

# შენიც გადახდილია!

**მოხუცი დავითი იმ ბაღიდან, სადაც პენსიონერები ყოველდღიურად მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს არჩევენ, შინ უკვე შებინდებულზე დაქანცულ-დაქასქასებული და ქანცგამოლეული დაბრუნდა.**

– ნეტავი მაცოდინა, მაგ ბაღში ამდენს რასა ლაყბობთ? – ათასმეერთედ ეკითხება მთელ დღეს ლოდინით თვალებამოღამებული უღლის გამწევი.

– ერთი შენცა, მოგცლია, ჩვენთვის რაღაცას ვჭიჭყინებთ, ვის რაში ეკითხება?

– ამდენი ლაქლაქის შემდეგ არ მოგშივდა მაინც, ადამიანო?

– მომშივდა თორემ შინ სულ შემწვარ-მოხრაკულების სუნი დამახრჩობდა. ღმერთსა მადლი, ეგ ბაღი გამოჩნდა მშველელად, თორემ იმდენი საჭმელი სადა გვაქვს, საუზმეც მივირთვათ, სადილიცა და ვახშამიც?

სალომემ გაჩუმება არჩია, ქმარს წინა დღის მორჩენილი მოხარშული კარტოფილი დაუდგა, მოზრდილ ფინჯანში უშაქრო ჩაი ჩაუსხა და თავად ტელევიზორს მიუჯდა.

დავითმა უწადინოდ გალოღნა კარტოფილი, მერე ფიქრმა წაიღო და იმ დღის სურათი, რაც ბაღში მოხდა, უკლებლივ აღადგინა:

– ჩემმა მზემ, – წამოიწყო ჯოხზე დაყრდნობილმა ელამმა პენსიონერმა, – განა არ აჯობებდა იმ ომში, სიკვდილს რომ ძლივს გადავურჩით, ჰიტლერს გაემარჯვა?

– აბა რასა ბოდავ, – პირში ეცა ხეხერა პენსიონერი, – ჰიტლერს რომ გაემარჯვა, ამ ორდენებს ვინ დამკიდებდა?

– კარგად შეინახე, საიქიოში სამოთხის საგზურად გამოგადგება.

– არა, ბიჭო, მაგ სამოთხეში ჰიტლერი წაგვიძღვებოდა მოციქულად.

– სამაგიეროდ სამოთხე აქ გვექნებოდა – კარგი ცხოვრება და დიდი პენსიები.

– პენსია, პენსია... ნამდვილმა ვაჟკაცმა პენსიისთვის კი არა, სახელისთვის უნდა იღვაწოს. აგერ სტალინს გახუნებული კიტელი ეცვა, მაგრამ მსოფლიოში უდიდეს პიროვნებად დარჩა.

– რამდენჯერ უნდა გითხრათ, მოეშვით მაგ სტალინს, – გაცხარდა მელოტი პენსიონერი, – თქვენ იმათ ედავეთ, ვინც მისი აშენებული ქვეყანა დაანგრია.

– მაგიტომაც დაისაჯნენ, – ნიშნისმოგებით თქვა გურამმა, მე 28 ლარს მაინც ვიღებ პენსიას, შევარდნაძე კი მთლად მშრალზე დარჩა.

– ვინ მოგახსენა, – შეედავა როსტომი, – გუშინ რუსულ გაზეთში წავიკითხე – ბიჭს 410-დოლარიანი პენსია დაურტყამს.

– ყოჩაღ, ვექო! – ტაში შემოჰკრა გიგუცამ, – ეგრეც ვიცოდი.



– მაგრამ იქვე ეწერა, – არა ჰყოფნისო.

– ეე, სამყოფი სად არის, – გაჯავრდა გურამი, – მარტო კაცი პენსიონერი მაგდენ ფულს რაში ხარჯავს? უნდა კარგად გასინჯონ, სახლში მარტენის ღუმელი ხომ არ უდგას?

– ვერ გეტყვი, – თავი გააქნია როსტომმა, – როგორც გაზეთში ამოვიკითხე, მარტო წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადი 800 დოლარი უჯდებაო.

– ტყუის, კაცო, – არ დაიჯერა მელოტმა პენსიონერმა, – მე ყველაფერს მაგას ვიხდი და კიდევ პურის ფულიცა მრჩება.

– ნუ ჯავრობთ, – დაამშვიდა მოკამათენი გიგუცამ, – დანარჩენს რუსეთი მისცემს, ერთ დროს იმათაც ხომ ემსახურა...

– რა გვჭირს სამაგისო, – თავი გამოიდო დავითმა, – ამდენ მილიონერ ქართველებში პრეზიდენტყოფილის შემნახავი ერთი აღარ აღმოჩნდება?

– აბა ვინა, პატარკაციშვილს ამას წინათ 1500-კაციანი ქორწილი გადაუხდია და რაც ფული ჰქონია, სულ გაუნიავებია.

– დავიჯერო, მაგის მეტი არა ჰქონდა? – დაეჭვდა გურამი.

– რა ვიცი, ძალიან ძვირი დასჯდომია, – დაიცვა როსტომმა, – ამდენი უცხოელის მოპატიჟებას ეხუმრებით? წარმოიდგინეთ, თამადა, მომღერლები და მოცეკვავეებიც კი იქიდან ჩამოუყვანია.

– არაფერი გაგეგებათ და ლაპარაკობთ, – ხმა ამოიღო აქამდე ყუჩად მყოფმა ჯუმბერმა.

– შენ სხვა ინფორმაცია გაქვს? – შემოეხვივნენ ცნობისწადილით პენსიონერები.

– ჰო, ეგ ხომ ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატია. ჰოდა, ამდგარა და რახან მომენტი ნახა, ქორწილი მარტო თავისი ქალიშვილისთვის კი არა, ყველა ქართველისთვის გადაუხდია.

– უჰ, ვენაცვალე, მაგას, – აღფრთოვანდა გურამი, – აი მაგან უნდა თქვას, კაცი ვარ და ულვაში მაქვსო!

– მაგრამ აწი ვინც უნდა იქორწინოს?

– იმათიც გადახდილია.

– ჩემიც? – იკითხა სკამის კიდეში მჯდომმა ცალტუჩლა პენსიონერმა, – რამდენი ხანია მესამე ცოლმა მიმატოვა და უსახსრობის გამო მეოთხე ვერ მითხოვია.

– ითხოვე მერე, რაღას უყურებ, შენიც გადახდილია.

– მერე ცოლის ნათესავები დაიჯერებენ?

– იმათ ვინ ჰკითხავთ, უთხარი, რომ გადახდილია.

მეორე დილას დავითი ბაღში წასასვლელად რომ ემზადებოდა, სალომემ ყურში უჩურჩულა: ქაა, კარგად გაარკვიე, ბადრის ფული თუ კიდევ დარჩა რამე, იქნებ ოქროს ქორწილი ჩვენც გადაგვიხადოს...

**ოთარ ხუციშვილი.**

კომპიუტერული ცენტრი „მეტეხი“ გთავაზობთ

წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, ავტორეფერატების, ბუკლეტების, პლაკატების, ცხრილების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე დაკაბადონებას; ინფორმაციის ჩაწერას ლაზერულ (CD) დისკებზე, გრაფიკული გამოსახულებების, სურათების დამუშავებას.

ტელ: 48-52-05, 899 97-29-33
Email: metekhi_333@posta.ge



● 1983 წელს ყველაზე დიდი ავტოპარკი მსოფლიოში იყო ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში. აქ 6580 ავტომანქანა ირიცხებოდა. ლონდონის რეგიონალურ ავტოპარკში კი 5100 ავტობუსიდან, 4550 ორსართულიანია.

● **მსოფლიოში** ყველაზე დიდი ავტობუსების სიგრძე 23,16 მეტრია და 10870 კილოგრამს იწონის. მათ 121 დასაჯდომი ადგილი აქვთ და 66 მსურველს შეუძლია ფეხზე დგომით იმგზავროს. ასეთ ავტობუსებს ახლო აღმოსავლეთისათვის უშვებს „უენის“ კორპორაცია.

● **ქვირფასეულობის** ძარცვის ყველაზე უდიდესი ფაქტი მოხდა, 1980 წლის 24 ივლისს, როდესაც პრინც აბდელ აზიზ ბინ ახმედ ალიტანის საძინებელი ოთახი გაქურდეს საფრანგეთში, ქალაქ კანის მახლობლად. „ძალზე კარგად დაცული“, ბინიდან მოპარული ნივთების საერთო თანხა 16 მილიონ დოლარად ფასდება.

● **ყველაზე** ხნიერი დამნაშავე, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოახრჩვეს გაერთიანებულ სამეფოში იყო, 71 წლის ჩარლზ ფრებდი. მან ლონდონში მოკლა თავისი მეუღლე. ეს მოხდა 1914 წლის 4 ნოემბერს, ჩელმსფორდის ციხეში.

● **ყველაზე** დიდი ციცაბო გზა მსოფლიოში არის ახალ ზელანდიაში, ქალაქ იუდინში. მისი მაქსიმალური დაქანება 38 გრადუსზე მეტია.

● **უმუშევრობის** ყველაზე დიდი დონე დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში 1933 წლის 23 იანვარს. მაშინ შრომის ბირჟაზე სიაში გატარდა 2 903 065 ადამიანი; ომისშემდგომ პერიოდში კი უმუშევართა მაქსიმალური პროცენტი – 14,1 (3 407 729 ადამიანიდან) დაფიქსირდა 1986 წლის იანვარში.

● **არსებული** მონაცემების მიხედვით, შვეიცარიაში 1973 წლის დეკემბრისთვის (მოსახლეობის რაოდენობა 6,6 მილიონი), უმუშევართა საერთო რაოდენობა უდრიდა 81 ადამიანს.

● **ყველაზე** ვიწრო ქუჩა მსოფლიოში მდებარეობს იტალიაში, მარკეს ოლქში, სოფელ რიპარტრანსონეში. მას ეწოდება ვიკოლო დელა ვირილიცა და მისი სიგანეა – 43 სმ.

● **ყველაზე** დიდი შემოსავალი 69 მილიონი დოლარი, 1960 წლიდან 1981 წლამდე, დააგროვა ცნობილმა ამერიკელმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ.

● **ყველაზე** მაღალშემოსავლიან სპორტსმენ ქალად ითვლება ჩოგბურთელი მარტინა ნავრატილოვა, რომლის შემოსავალმა 1987 წელს 12 მილიონი დოლარი შეადგინა.

● **1969 წელს,** იაპონიაში, ტოკიოში, ბერის თასის გათამაშებაზე, იაპონელმა ჩოგბურთელმა ქალმა ნორიკო ტაგაკიმ, 9 წუთში სძლია ინდონეზიელ პოპი ტუმენგკოლს.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

**26 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1460 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8100 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1827 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3853 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4043 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6128 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 26 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 38° | 21° |
| ბათუმი | 32° | 21° |
| სოხუმი | 31° | 20° |
| ქუთაისი | 30° | 23° |
| თელავი | 38° | 21° |

## ჩვენებურები

# მარატ საფინს შემცვლელი მოუძებნეს

**რუსეთსა და საფრანგეთს შორის დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩის დროს, მოსკოვში, ვაკანტური ადგილი მასპინძელთა ნაკრებში თეიმურაზ გაბაშვილმა დაიკავა.**

ნაკრების 20 წლის ახალწვეული, გუნდის კაპიტნის შამილ ტარპიშჩევის აზრით, ერთობ პერსპექტიული ჩოგბურთელია. „ოლიმპიურის“ გრუნტის მოედანზე მზადებისას მას ცნობილი ჩოგბურთელი, ნაკრების ლიდერი მიხეილ იუჟნი ავარჯიშებდა.

მაღალი, ხუჭუჭა თეიმურაზი გარეგნულადაც და თამაშის მანერითაც თურმე მარატ საფინს ჩამოგავს. ჩოგბურთელისთვის არატიპურ ხაკისფერ მაისურში გახვეული, ცდილობდა, რაც შეიძლება ძლიერად ეთამაშა და თანაც შესამჩნევად ღელავდა. „ოჰ, ოჰ! რასა ვშვრები, სად ვურტყამ?!“ ხმაურობდა თავისი ყოველი დარტყმის შემდეგ...

ნაკრების შემადგენლობა კი ასე გამოიყურებოდა: ნიკოლოზ დავიდენკო, მიხეილ იუჟნი, იგორ ანდრეევი, თეიმურაზ გაბაშვილი.



15 ივლისის „Комсомольская Правда“. თეიმურაზ გაბაშვილის ფოტოსურათსაც აქვეყნებს, რომელსაც ლექსი აქვს მიწერილი:

**მზადა ვარ, კორტზე ცეცხლი**
**დავანთო,**
**რომლისა ალიც ზეცამდე უწევს!**
**გავაგებინებ სპორტულ სამყაროს,**
**თუ რა ჯიგიტი ეზრდება რუსეთს!..**

# სიმღერაში ასი დოლარი შეაძლიეს



კლუბში, სადაც მიუზიკლის „რომეო და ჯულიეტას“ ერთი წელი აღინიშნებოდა, ამ თეატრალური ჟანრის თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი.

ზეიმის ერთ-ერთ ვარსკვლავს, მიუზიკლის სოლისტს ნიკოლოზ ცისკარიძეს სოლო ცეკვის შესრულება სთხოვეს. საცეკვაო დარბაზის სიმცირემ და ბლომად ხალხის ყოფნამ ნიკას ამის საშუალება არ მისცა. მაშინ ფილმის „ბუმერის“ მთავარი როლის შემსრულებელმა ანდრე მერზლიკინმა შარვლის ჯიბიდან ასდოლარიანი კუპიურა დააძრო და მოცეკვავეს დაანახვა – იმღერე მაინც, საჩუქარს მიიღებო. ნიკამ იმღერა – ალა პუგაჩოვას სიმღერა „ბალეტი“, თუმცა ფული არ მიიკარა. ან კი რად უნდოდა, როცა ძვირფასი საჩუქარი ისედაც ხვდა ღონისძიების სპონსორთაგან – ავტომობილი...

ამას იუწყება 15 ივლისის „Комсомольская Правда“.

## ხსოვნა

### ზინა მიქაძე



55 წელიწადი უმწიკვლოდ ემსახურა მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ზინა ვლადიმერის ასული მიქაძე. ერუდირებული, საოცრად თავმდაბალი, მაგრამ საჭიროებისას უაღრესად პრინციპული პედაგოგი არასოდეს დაავიწყდებათ აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოს საშუალო სკოლის აღზრდილებს, კოლეგებს, მეგობრებს.

დაამთავრა მარტვილის პედაგოგიური სასწავლებელი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. პროფესიონალი მასწავლებელი ბავშვების გულის მესაიდუმლე და მართლაც პედაგოგად დაბადებული, გამორჩეული პიროვნება იყო.

ზინა მიქაძემ მთელი ცხოვრება ბავშვებს მიუძღვნა. პირადი კეთილდღეობა არასოდეს უძებნია. თუმცაღა, თავის წარმოჩენა არ უყვარდა, მას მაინც ირჩევდნენ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად, რაიონული სასამართლოს მსაჯულად, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელად.

წავიდა ჩვენგან უანგარო, კეთილსინდისიერი, საოცარი პიროვნული ხიბლის მქონე მასწავლებელი და მეგობარი, სოფლის სახე და პატიოსნება.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური სოფლის მიწა, ნათელი დაუმკვიდროს უფალმა.

**აღზრდილები, მეგობრები.**

შვილები თამაზ, დალი, შვილიშვილი ნიკა ყაჯრიშვილები, რძლები ნაზი იმნაიშვილი, თამუნა სვიანაძე, ცოლისდა ანა შანშიაშვილი, დეიდაშვილები ავთანდილ, ბიჭიკო შანშიაშვილები, ძმისწულები მარინა, თემური, დისწულისშვილი ზაზა შანშიაშვილი, ბიძაშვილი ვანო ალადაშვილი, შვილთაშვილი ელენე ყაჯრიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ ნიკოლოზის ძე ყაჯრიშვილი

პანაშვიდი 26, 27 VII, 17 სთ. დაკრძალვა 28 VII. 15 სთ. მისამართი: გამსახურდიას პრ. 2 , I სად. III სართული.



მამა პაატა, დეიდები ლამარა, გიული, ბიძა მერაბ ბოლაშვილი, ბებიები მარიამი, ახრასი, ბიძაშვილი ავთო, დეიდაშვილები მაია დავითაშვილი, გია და კობა ჯანიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ

თეა და მარი
ბოლაშვილები



პანაშვიდი 26, 27 VII, 17 სთ-ზე, კოსტავას 71 ა, გამოსვენება 28 VII, 14 სთ-ზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

შვილები ფიქრია შერაზადიშვილი, მანანა აბაშიძე, შვილიშვილები კახა, ნინო, ნათია, ანა გოგოლაშვილები, გიორგი, დალი, ქეთინო აბაშიძეები, რძალი ქეთევან შანიძე, სიძეები ზურაბ აბაშიძე, ლევან ვარდოსანიძე, გიორგი დაუშვილი, ყარამან ქუთათელაძე, ზურაბ კახიძე, ბექა რობაქიძე ოჯახებით, შვილთაშვილები, ძმისწულები, დისწულები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრა (შურა) დვალი-შერაზადიშვილი

პანაშვიდი 26, 27 VII, გამოსვენება 28 VII, 14 სთ-ზე, ალ. ყაზბეგის გამზ. 33, I სადარბაზო.

დაიკარგა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი №179/99, №1/13/7/21/4, თარიღი 14.07.2003, რომელიც ადასტურებს სს „სავაჭრო სახლი – ბავშვთა სამყაროს“ საკუთრების უფლებას მიწასა და უძრავ ქონებაზე. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის №7. ტელ. 877-57-40-04.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.